

ବୈରିଦିବା

ଶାଖା କ୍ଷେତ୍ରପତ୍ର

୨୬.  
ମାର୍ଚ୍ଚାରୀ  
ହୁ  
କ୍ଷେତ୍ରପତ୍ର



შოთა რუსთაველის ეროვნული  
სამეცნიერო ფონდი  
**Shota Rustaveli National Science Foundation**



ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
**Ivane Javakhishvili Institute of History and  
Ethnology**



გამომცემლობა „ენიანსალი“  
თბილისი 2010

**ZAAL KIKVIDZE**

**LANGUAGE,  
GENDER  
and  
NATIONALISM**

ଶୀଘ୍ର ପ୍ରକାଶନ

୦୬୧,  
ଗୋଟିଏକଟି

କାହାରେ କାହାରୁ  
କାହାରୁ କାହାରୁ

სამენიერო პროექტი „ბეჭდური მედია და ქართული ნაციონალური იდენტობის წროპესი: ილიას „ივერია““ (N G – 02 – 08) განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული წებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს

The project „**Printed Media and the Process of Shaping of the Georgian National Identity: Ilia's „Iveria“**“ has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation (Grant N G – 02 – 08). All ideas expressed herewith are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself.

[www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge)

**უფასო გამოცემა**

© ზ. კიკიძე, 2010

გამომცემლობა „ენივერსალი“, 2010

თბილისი, 0179, ივანე ჯავახიშვილის გამზ. 19, თე: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-285-4

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ბეჭდური მედია და ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესი: ილიას „ივერია““ (N G - 02 - 08) – ფარგლებში მომზადდა და გამოიცა მონოგრაფიები:

#### **თინათინ ბოლქვაძე**

ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა: ილიას „ივერია“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010

#### **მარიამ ჩხარტიშვილი, ქეთევან მანია**

ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში: „ივერია“ და მისი მკითხველი საქართველო, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010

#### **ზაალ კიკვიძე**

ენა, გენდერი და ნაციონალიზმი „, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010.

The following monographs were prepared and published within the framework of the research project “**Printed Media and the Process of Shaping of Georgian National Identity: Ilia’s ‘Iveria’**” (NG -- 02 -- 08) financed by the Rustaveli National Science Foundation:

#### **Tinatin Bolkvadze**

Georgian National Identity Forging: Ilia’s “Iveria.” Tbilisi: Universal, 2010.

#### **Mariam Chkhartishvili, Ketevan Mania**

Coverage of the Process of the National Consolidation of Georgians in Printed Media: ‘Iveria’ and Georgia as its Reader. Tbilisi: Universal, 2010.

#### **Zaal Kikvidze**

Language, Gender and Nationalism. Tbilisi: Universal, 2010.

წინამდებარე ნაშრომი შეიქმნა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ბეჭდური მედია და ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესი: ილიას „ივერია““ განხორციელების კვალად. ავტორი განიხილავს ენობრივი და გენდერული ფაქტორების აქტუალობას ქართული ეროვნული იდენტობის წრთობის პროცესში; ემპირიული მასალა მოძიებულია „ივერიის“ პუბლიკაციების მიხედვით.

ზაალ კიკვიძის „ენა, გენდერი და ნაციონალიზმი“ გამიზნულია ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

## შინაარსი

წინასიტყვა .....	9
შესავალი.....	11
ენა, გენდერი, საზოგადოება: პრობლემატიკის მიმოხილვა.....	13
ქართული ეროვნული იდენტობის გენდერული მარკერების ძიება “ივერიის” ფურცლებზე.....	23
გენდერული თანასწორობის საკითხები.....	23
ქალთა განათლების საკითხები .....	34
“დედათა საქმის” ნაციონალისტური განზომილებები .....	39
ილია ჭავჭავაძის “პატარა საუბარი” და მისი დიდი და ფართო პორიზონტები.....	45
ენობრივი მსოფლხედვა და იდეალიზებული კოგნიტიური მოდელები .....	45
ენა და კატეგორიზაცია .....	48
დედის აღმნიშნელი სიტყვები და მათი მსოფლხედვითი სპექტრი .....	53

დასკვნის მაგიერ	67
ლიტერატურა	70
საძიებელი	76
<b>Langauge, Gender and Nationalism (რეზიუმე ინგლისურ ენაზე)</b>	<b>82</b>

## ნინასიტყვა

2008 წლის დასაწყისში ჩემმა კოლეგამ, პროფესორმა თინათინ ბოლქვაძემ ორი ისტორიკოსი გამაცნო; ესენი გახლდნენ მარიამ ჩხარტიშვილი და ლელა პატარიძე. როგორც აღმოჩნდა, მათი სახით არა მხოლოდ ორი ღირსეული პიროვნება და ძლიერი პროფესიონალი, არამედ თანამოაზრებიც მეპოვნა. ამას ის მოჰყვა, რომ სწორედ ჩვენი ოთხეულის ძალისხმევით დაიწერა პროექტი „ბეჭდური მედია და ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესი: ილიას „ივერია““. სწორედ იმ წელს შოთა რუსთაველის ფონდმა გამოაცხადა თემატური საგრანტო კონკურსი „ილია და გლობალიზაცია“. ჩვენც გადავწყვიტეთ, ბედი გვეცადა. იმავე წლის შემოდგომაზე რუსთაველის ფონდიდან თითოეული ჩვენგანისათვის სასიამოვნო ამბავი შევიტყვეთ: ჩვენს პროექტს არათუ მოუპოვებია გრანტი, არამედ პირველ ადგილზე გავსულვართ გამარჯვებულ პროექტებს შორის. პროექტზე მუშაობის ადრეულ ეტაპზე თითოეული ჩვენგანისათვის თავზარდამცემი რამ მოხდა: უკურნებელი სენის გამო ხელიდან გამოგვეცალა ლელა პატარიძე. ვერ დავმალავ, რომ ამ ამბავმა გარკვეული დაღი დაასვა თითოეული ჩვენგანის მუშაობას.

პროექტზე მუშაობის პროცესი შრომატევადი, ძნელი და ამავე დროს სასიამოვნოც იყო, რადგანაც არცთუ იშვიათად წავწყდომივარ ისეთ უაღრესად საინტერესო და საგულისხმო ინფორმაციას, რომელიც, უნდა გამოვტყდე, სასიამოვნო მოულოდნელობასაც კი წარმოადგენდა.

მადლიერების სიტყვებით უნდა მივმართო შოთა რუსთაველის რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და ფონდის მიერ მოწვეულ იმ ორ ანონიმურ ექსპერტს, რომლებმაც გადაწყვიტეს ჩვენი პროექტის ბედი.

„ივერიის“ ნომრებზე მუშაობის დროს ძირითადად ვსარგებლობდი ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუ-

ზეუმის ბიბლიოთეკის რესურსებით და მუზეუმის ხელმძღვანელობისა (დირექტორი პროფ. ომარ ლანჩავა) და თანამშრომლების პროფესიონალიზმით, სტუმართმოყვარეობითა და გულისხმიერებით, რისთვისაც თითოეულ მათგანს გამორჩეულ მადლობას მოვახსენებ.

პროექტის მიმდინარეობის პოლო ეტაპზე სერიოზული პრობლემების წინაშე დავდექი მხდველობის მკვეთრი გაუარესების გამო. ამ პერიოდში ჩემი ოჯახის წევრები სამეცნიერო ასისტენტების როლს ასრულებდნენ, რისთვისაც დიდი მადლობა მათ.

დაბოლოს, წინასიტყვის ტექსტი ყველაზე ბოლოს დავწერე და მე თვითონ ავკრიბე კომპიუტერზე. ეს შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა პროფესორ მერაბ დვალისა და მისი კლინიკის თანამშრომელთა უდიდესი პროფესიონალიზმი და გულისხმიერება, რისთვისაც მე და ყველა ჩემი ახლობელი საუკუნოდ მათ მოვალედ და მეხოტბედ ვთვლით თავს.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ერთია იმის აღიარება, რომ უდიდესია ილია ჭავჭავაძისა და მისი „ივერიის“ როლი ქართულის ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესში, ხოლო მეორეა იმის დანახვა და წარმოჩენა, თუ როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი, რა კერძო და უნივერსალური თავისებურებები ახლდა მას. ქართველ მეცნიერთა ჯგუფის მიერ ინიცირებული და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი „ბეჭდური მედია და ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესი: ილიას „ივერია““ სულაც არ გახლდათ მისი ავტორების მიერ საკუთარი თავისათვის გამზადებული იოლი ამოცანების ერთობლიობა. ჩვენ სერიოზული განზრახვები გვქონდა. თავის ქებას რომ ავცდეთ, მაგრამ ამასობაში სიმართლეც ვთქვათ, ყურადღებას გავამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ ჩვენ, პროექტის ავტორები, არ ვაპირებდით მუშაობას ერთგვარ „თეორიულ ვაკუუმში“, როგორც ეს ზოგჯერ ხდება ამგვარი საკითხების განხილვისას. ამ მხრივ ჩვენთვის ძალიან ნაყოფიერი გამოდგა ბრიტანელი მეცნიერის ე. დ. სმითის ნაშრომები ნაციონალიზმის არსის, მისი ბირთვული დოქტრინებისა და მრავალრიცხვოვანი და მრავალგვარი ასპექტის შესახებ. ეს გახლდათ ის ფაქტორი, რომელიც განაპირობებდა იმას, რომ ჩვენი კვლევის შედეგები არა სადლეგრძელოს ჟანრში, არამედ სამეცნიერო დისკურსისათვის დამახასიათებელი სახით წარსდგებოდა მკითხველის სამსჯავროზე.

ნაციონალური იდენტობის წრთობა მრავალმხრივი, მრავალასპექტიანი და მრავალგანზომილებიანი პროცესია. წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენთ და განვიხილავთ ენობრივ-გენდერულ ასპექტებს, მათს პოვნიერებას, რაობას, რომელობასა და თავისებურებებს ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესში. ამ ასპექტების გა-

მოვლენა და მათზე დაკვირვება იმდენად იყო შესაძლებელი, რამდენად ამას იძლეოდა „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების თემატიკა. ალსანიშნავია, რომ წინამდებარე ნაშრომის სტრუქტურაც სწორედ ჩვენთვის საინტერესო პუბლიკაციების შინაარსმა და ეპისტემურმა ჰორიზონტებმა განაპირობეს.

ნაშრომი არ გახლავთ წარმოდგენილი სრულყოფილებისა და ამომწურავობის პრეტენზით.

## ენა, გენდერი, საზოგადოება: პროპლემატიკის მიმოხილვა

მდედრისა და მამრის, ინისა და იანის, ქალურობისა და მამაკაცურობის საზოგადოებრივი დაპირისპირება ისევე ძველია, როგორც ჩვენი სამყარო. ამ ურთიერთობის ცალკეული ასპექტების ამსახველი უხვი თვალსაჩინო მასალა პოვნიერია ისტორიულ წყაროებში, კანონიურ ძეგლებში, მხატვრულ ლიტერატურაში, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მონაცემებში. ლირსასაცნობია, რომ ენაც, როგორც კულტურის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი, თავისთავად მრავალ თვალსაჩინოებას გვაზღდის ამ მხრივ. რა თქმა უნდა, აქ აქცენტი არ კეთდება ოპოზიციებზე გრამატიკული სქესის მიხედვით, თუმცა, როგორც ცნობილია, ეს კატეგორიაც „პალეონტოლოგიურად“ მიიჩნევა და ვარაუდობენ, რომ მისი ძირები უძველესი მითოლოგიური აზროვნების თავისებურებებს უნდა წვდებოდეს. როგორც წესი, როდესაც სქესზე საუბრობენ, ტრადიციულად იგულისხმება ორი ტიპის სქესი: ბიოლოგიური და გრამატიკული (ბუნებრივია, რომ ენასთან მიმართებაში განსაკუთრებით ეს უკანასკნელი მოიაზრება: 1772 წელს დაწერილ ნარკვევში „ენის სათავეების შესახებ“ იოპან გოტფრიდ პერდერს დაჰყავს გრამატიკული სქესი პირველყოფილ ანიმისტურ მსოფლებლვამდე. ავტორის აზრით, როდესაც პირველი ადამიანები ცდილობდნენ, გარკვეულიყვნენ სამყაროსა და თავიანთი ყოფის არსები, მათ მოახდინეს ცხოველებისა და მცენარეების, მიწის, ქვებისა და წყლის, თავიანთ ირგვლივ არსებულ ბუნებრივ და ზებუნებრივ ძალთა პერსონიფიკაცია ქალებად და მამაკაცებად, კეთილისა და ბოროტის მქნელ ღმერთებად და ქალლმერთებად. მაგრამ სამართლიანობის გულისათვის ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ არსებობს ე. წ. სოციალური სქესი ანუ

**გენდერი.** თუ ბიოლოგიური სქესი განასხვავებს ‘მდედრობითსა’ და ‘მამრობითს’, სოციალური სქესი ანუ გენდერი განასხვავებს ‘ქალურობასა’ და ‘მამაკაცურობას’, ე.ო. გენდერული იდენტიფიკაცია შეიძლება მოხდეს კულტურის, დროისა და სივრცის ფაქტორების გათვალისწინებით. რასაკვირველია, გენეტიკური (resp. ბუნებრივი) განსხვავებები ძირეულია, მაგრამ არა ერთადერთი. ამის დასადასტურებლად გამოდგება ერთი ძეველებური ხუმრობა იმის შესახებ, თუ როგორ უთვალვალებდა ჩუმად ორი ბავშვი ნუდისტების პლაჟს ლობიდან. ბიჭი კითხულობს: „ვინ არის ეს ხალხი? ქალები არიან თუ კაცები?“ „ვერ გეტყვი,“ პასუხობს გოგონა, „ტანთ არაფერი აცვიათ!“

საერთოდ, უნდა ვალიაროთ, რომ გენდერი, როგორც სოციო-კულტურული ფენომენი, ბუნებრივი სქესის საზოგადოებრივი პროცესის ნაყოფის შთაბეჭდილებას ტოვებს. დაინტერესებულ სპეციალისტებს სხვადასხვა დროს ცდა არ დაუკლიათ იმისათვის, რომ ქალურობისა და მამაკაცურობის თავისებურებანი მდედრობითისა და მამრობითის ბუნებრივი ნიშან-თვისებებიდან გამოეყვანათ. არსებობს სპეციალური ნაშრომები, რომლებშიც წარმოდგენილია მსჯელობა ქრისტომული, მეტაბოლიკური, ჰორმონალური თუ ნევროლოგიური ფაქტორების, როგორც გენდერულ განსხვავებათა გამომწვევი პირობების, შესახებ. ქალთა და მამაკაცთა ენობრივ პორტრეტებში განსხვავებული შტრიხების მაგალითების განხილვისას ჩვენ აღვნიშნეთ და აქვე გავიმეორებთ, რომ ბუნებრივი განმასხვავებელი ნიშანი (ამ შემთხვევაში სქესი) ვერ იქნება ის ფაქტორი, რომელიც შეძლებდა წარმოდგენილ ენობრივ ცვლადთა გაჩენას. ეს ხდება მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც ბუნებრივი ნიშანი სოციალურ რელევანტურობას იძენს. ფიზიოლოგიური მახასიათებლებით გამოწვეული სქესობრივი განსხვავებები, რომლებიც მეტყველებასთანაა დაკავშირებული, რა თქმა უნდა, არსებობს: მაგალითად, მამაკაცის სახმო სიმები უფრო მოდუნებულია და რხევის სიხშირეც, შესაბამისად, უფრო დაბალია ქალისას-თან შედარებით. ამითაა გამოწვეული ორი სქესის მკაფიო ვოკალური დიფერენციაცია. მაგრამ ეს მოვლენა სულ სხვა რიგისაა და ზემოთ ნახსენებთან არანაირ კავშირში არ არის. თუ სხვაობა სიგნალიზებულია ენის ამა თუ იმ ასპექტის ერ-

თეულებით (ფონემები, გრამატიკა, ლექსიკა), ან მთელი ენობრივი სისტემით, მიზეზი სოციალურ პირობებში უნდა დაიძებოს. სწორედ ამიტომ უნდა ვისაუბროთ ასეთ შემთხვევებში არა სქესობრივი, არამედ **გენდერული** განსხვავებების შესახებ. ‘გენდერული’ კი უკვე აღარ გულისხმობს ბიოლოგიურ ასპექტებს, იგი სქესის სოციო-კულტურულ განზომილებებზე მიგვითოთებს. სხვათა შორის, ზემოაღნიშნული იმასაც ადასტურებს, რომ ‘გენდერი’ არ უნდა მივიჩნიოთ უბრალო ტერმინოლოგიურ იმპორტად (სქესისა და გენდერის ცნებების გამიჯვნის პირველი ცდა მოგვცა ამერიკელმა ფსიქოლოგმა რობერტ სტოლერმა 1968 წელს. იგი კალიფორნიის უნივერსიტეტში ტრასსექსუალებს იკვლევდა, რის საფუძველზეც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უფრო ადვილია ბიოლოგიური სქესის შეცვლა ქირურგიულად, ვიდრე სოციალურად ფესვგადგმული გენდერული ვინაობისა.

საკითხის არსები უკეთ ჩასაწყდომად მიზანშემონილად მივიჩნევთ აღნიშნულ პრობლემატიკასთან დაკავშირებული, მსოფლიოში არსებული ისტორიული გამოცდილების ერთგვარი ექსკურსის წარმოდგენას.

ქალთა და მამაკაცთა სამეტყველო განსხვავებათა ფიქ-საციის ერთ-ერთ უძველეს შემთხვევად შეიძლება ჩაითვა-ლოს ძველი ბაბილონიდან ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი ლექსიკოგრაფიული წამრომი: „ჩვეულებრივი შუმერული „სალიტერატურო“ ენის გარდა (შუმ. e m e - K U, ან კიდევ e m e - g i r<sub>x</sub>) არსებობდა ასევე განსაკუთრებული „ქალური“ შუმერული ენა — e m e - s a 1, რომელიც გამოიყენებოდა, კერძოდ, ქალლმერთთა კულტში. ამის შესაბამისად შეადგინეს სამენოვანი e m e - s a 1 — e m e - K U — აქადური ლექსიკონი, «d i m m e r = d i n g i r=ilu» (სამივე სიტყვა ნიშნავს ‘ლმერთს’ ამ სამ ენაზე)“ (დიაკონოვი, 1980, გვ. 23). იქვე, სქოლიოში ავტორი შენიშნავს, რომ ეს „ქალური“ ენა გამოიყენებოდა (წერაში) ქალლმერთებისა და ქალების, ასევე საჭურისთა მეტყველების გადმოსაცემად“ (იქვე, სქ. 13).

გასაკვირი არ არის, თუ ადრეულ პერიოდში შენიშნულ ამგვარ განსხვავებებს ზოგჯერ თავისებურ ახსნა-განმარტებას უძებნიდნენ, რაც დღესდღეობით არა თავისი სამეცნიერო ლირებულების, არამედ იმ დროის საზოგადოებაში

არსებული ლინგვო-გენდერული პოზიციების დაფიქსირების თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი; მაგალითად, თავის თხზულებაში „ადამიანის ცხოვრების ამაოების შესახებ“ რომის პაპი ინოკენტი III (1160-1216) გარკვეულ არქეტიპულ კავშირს ხედავს, ერთი მხრივ, ადამისა და ევას სახელებს და, მეორე მხრივ, ახალშობილის მიერ წარმოთქმულ ბერებს შორის. მისი მტკიცებით, ყველა ახალშობილი ვაჟი ამ ქვეყანაზე მოვლენისას ტირის ასე: „ა!“, ხოლო გოგონები — „ე!“, რაც ადამისა და ევას სახელების სიმბოლური ექოა; ამასთანავე, პაპისა აზრით, სახელი „ევა“ გაიგება როგორც მწუხარების გამომხატველი შორისდებულები *he* და *ha* (იხ. ჩუჩინ-რუსოვი, 2001, გვ. 62).

ერთ-ერთ პირველ სამეცნიერო ნაშრომად კი, რომელშიც ასახულია ქალთა და მამაკაცთა ენობრივ-გენდერული დაპირისპირება, ითვლება 1664 წელს გამოსული „კარაბულფრანგული ლექსიკონი“ (რომლის ავტორი მისიონერი ბერი გახლდათ), სადაც მოთხრობილია იმის შესახებ, რომ მცირე ანტილის კუნძულების მკვიდრი ქალები იქაური მამაკაცებისაგან განსხვავებულ ენაზე საუბრობენ, რისი მიზეზიც ის ყოფილა, რომ, როდესაც კარაიბებმა დაიპყრეს ეს კუნძულები, მათ ამოხოცეს ყველა იქაური მამაკაცი, ხოლო ქალებზე კი დაქორწინდნენ (იესპერსენი, 1922, გვ. 237).

მიუხედავად ამისა, პროფესიონალ ლინგვისტთა მიზან-მიმართული ინტერესი სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა მიერ განსხვავებული სამეტყველო ქცევის მიმართ მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან აღინიშნება. აქ უნდა მოვიხსენიოთ რამდენიმე სკანდინავიელი ენათმეცნიერის ნაშრომები: შვედი გუსტავ სედერშოლდის „ქალების ენა“, რომელიც დაიწერა 1899 წელს, მაგრამ მოგვიანებით გამოქვეყნდა (სედერშოლდი, 1900), დანიელი ლინგვისტის ოტო იესპერსენის სტატია „მამაკაცის ენა და ქალების მეტყველება“ (*Mands Sprog og Kvindens Tale, Gads Danske Magasin*, 1907) (იხ. ბროკი და სხვ., 1995), ცალკე თავი, სახელწოდებით „ქალი“, მისსავე ცნობილ წიგნში „ენა: მისი ბუნება, განვითარება და წარმომბა“ (იესპერსენი 1922, გვ. 237-254) (ო. იესპერსენმა იგივე თავი (გარკვეული ცვლილებებით) მოგვიანებით შეიტანა დანიურ ენაზე გამოცემულ წიგნში (იესპერსენი, 1941)). ფართო სამეცნიერო საზოგადოებისათვის თითქმის

უცნობია კიდევ ერთი დანიელი ავტორის ლის იაკობსენის ემპირიული მასალით მდიდარი წიგნი (იაკობსენი, 1912). სა-განგებო აღნიშვნის ლირსია ედუარდ სეპირის ნაშრომი ამე-რიკის იანას ტომის ინდიელთა ენაში ქალთა და მამაკაცთა სამეტყველო ფორმების შესახებ (სეპირი, 1929). აქვე უნდა ვახსენოთ რამდენიმე მცირე ზომის, მაგრამ ჯერაც აქტუა-ლური, სტატია სხვა ამერინდიური ენების გენდერლექტური თავისებურებების თაობაზე (ჰაასი, 1944; ფერფი, 1944; ფლე-ნერი, 1946). ოუმცა მ. ჰაასის, პ. ფერფისა და რ. ფლენერის ნაშრომებამდე კარგა ხნით ადრე დაიბეჭდა პოლანდიელი მეცნიერის იაკობუს ვან გინეკენის ძალიან საინტერესო, მაგ-რამ სპეციალისტების მიერ დღემდე ვერშემჩნეული, სტატია (გინეკენი, 1934). ლირსასაცნობია, რომ აღნიშნულ პერიოდში გამოქვეყნებული კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი პუბლი-კაციის დასახელება შეიძლება, თუმცა ზემონახსენები ნაშ-რომები თვალსაჩინოდ წარმოგვიჩენენ ენისა და სქესის ურ-თიერთმიმართების კვლევაში ე.ნ. გარდამავალი ეტაპის თა-ვისებურებებს.

ამ გარდამავალი ეტაპისათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ ენისა და სქესის ურთიერთობის საკითხები ენათმეც-ნიერების პერიფერიულ პრობლემად რჩებოდა, ასევე მიღე-ბული იყო, რომ ნორმად მიიჩნეოდა მამაკაცების მეტყველე-ბა, ხოლო „ქალური“ ენა კი გადახრად განიხილებოდა. ამას-თანავე, მაშინ სპეციალისტები ჯერ კიდევ არ ოპერირებდნენ გენდერის ცნებით და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ენით გამოხატულ სქესობრივ განსხვავებებს აღიარებდნენ მხო-ლოდ ე.ნ. პრიმიტიულ საზოგადოებებში. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, იყო ერთგვარი გამონაკლისიც. მხედველობაში გვაქვს გენდერ-ლინგვისტიკურ სპეციალურ ლიტერატურა-ში ბოლო დრომდე უცნობი ნაშრომი ენის საკითხების შესა-ხებ, რომლის ავტორია გერმანელი ფ. მაუთნერი, და რომე-ლიც პირველად 1913 წელს გამოქვეყნებულა. ა. კირილინა, ავტორი წიგნისა, რომელშიც არის საუბარი ამ ნაშრომის ჩვენთვის საინტერესო დებულებებზე, ამბობს, რომ, მაუთნე-რის აზრით, ენის შემოქმედებითი გამოყენება მამაკაცების პრეროგატივაა, ხოლო ქალებს მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ აითვისონ მამაკაცების მიერ შექმნილი ენა. „ქალური“ ენის გაჩენას მაუთნერი უკავშირებს ანტიკური თეატრის ისტო-

რიულ ტრადიციებს, სადაც თავდაპირველად მამაკაცები ას-რულებდნენ მდედრი პერსონაჟების როლებს. მხოლოდ სცენაზე მანდილოსნების გამოჩენის შემდეგ დრამატურგიის ტექნიკაში მოხდა ისეთი ცვლილებები, რომლებმაც გასაქანი მისცა ენის ქალურ ვარიანტსაც. ისტორიულმა მიდგომამ მიიყვანა ავტორი იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოებამ აღიქვა „ქალური“ ენა მაშინ, როცა ამ ენაზე მოლაპარაკეებს მიეცათ გამოჩენის საშუალება, რაც მოწმობს იმას, რომ სქესთა უთანასწორობა გავლენას ახდენდა ენობრივ სოციალიზაციაზე (კირილინა, 1999, გვ. 34-35).

მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება ერთგვარი ‘გენდერლინგვისტიკური’ ბუმი სპეციალურ ლიტერატურაში. ამ ტალღის აგორება დაკავშირებულია ზოგიერთ სამეცნიერო ნაშრომთან, რომლებიც იმ დროს გამოქვეყნდა. მათგან პირველ რიგში უნდა დასახელდეს რ. ლეიკოფის წიგნი „ენა და ქალის ადგილი“ (ლეიკოფი, 1975). ეს ნაშრომი ერთ-ერთი პირველია, რომელშიც საკმაოდ სრულადაა აღწერილი ის, რასაც ‘ქალების ენას’ უწოდებენ; ეს კი გულისხმობს არა მარტო იმას, თუ როგორ მეტყველებენ ქალები, არამედ იმასაც, რას და როგორ ამბობენ მათ შესახებ. როდესაც ამ უკანასკნელ ასპექტზე იწყებენ ხოლმე მსჯელობას, ხშირად აღნიშნავენ, რომ ენა თავის თავში მამაკაცური მსოფლებდვის მატარებელია, იგი დისკრიმინაციულია ქალების მიმართ, რადგანაც საუკუნეების განმავლობაში სწორედ მამაკაცები ლიდერობდნენ ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, ისინი წერდნენ გრამატიკებს, ადგენდნენ ლექსიკონებს და ა.შ. ლეიკოფი იმასაც ამბობდა, რომ „ქალები ორი მხრით განიცდიან ენობრივ დისკრიმინაციას: როგორ ასწავლიან მათ ენის გამოყენებას და როგორ მოიხსენიებიან ისინი საერთოდ ენაში“ (ლეიკოფი, 1975, გვ. 4). უფრო მეტიც, აცხადებენ, რომ ქალები ენაში უხილავი არიან, ხოლო, როცა ზოგჯერ ისინი ჩანან, მაშინ ეს ხდება მათთვის არცთუ მთლად სახარბიელო სახით. სოციოლინგვისტიკაში გენდერული მიმართულების ბევრი წარმომადგენელი განიხილავს ქალებს, როგორც გამორჩეულ სოციალურ ჯგუფს, თანაც, როგორც ტრადიციულად ჩაგრულსა და მარგინალურს. ამგვარ დებულებებზე დაყრდნობით, ფემინისტური განხრის მომხრეები (და არა მარტო

ისინი) უკვე კარგა ხანია ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ სამყარო აგებულია მამაკაცური, პატრიარქალური კანონების მიხედვით და მამაკაცების სასარგებლოდ. ენის დონეზე ამ უთანასწორობის გამოვლინებას სექსიზმი ეწოდება. ამ სექსიზმის გამოხატულებად ითვლება ქალებისათვის ერთგვარი ექსკლუზიური, ნეგატიური სივრცის პოვნიერება ენაში. თუკი მე-20 საუკუნის დასაწყისში სპეციალისტები უფრო პრიმიტულ საზოგადოებებში ეძიებდნენ ასეთ მაგალითებს, საუკუნის მეორე ნახევარში ყურადღება გადაიტანეს ინგლისურ ენაზე, ხოლო შემდეგ დასავლეთის განვითარებული ქვეყნების სხვა ინდოევროპულ ენებზეც (იხ. მაგ., იაგელო, 1979; მესეგერი, 1977; პუში, 1984; რიენი, 1976; სუარდიასი, 2002; პოლმბერგი და ნორდენსტამი, 1995 და მრავალი სხვა).

მაგრამ თავიდან სწორედ ინგლისური ენა გახდა ამ კონფლიქტის ასპარეზი: „...ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანთა კულტურაში მამაკაცები უფრო მაღალი თვალსაზრისით განიხილებიან, ვიდრე ქალები. მამრი ასოცირდება უნივერსალურთან, საზოგადოსთან, ყოვლისმომცველთან; მდედრი უფრო ხშირად გამორიცხულია ან კიდევ რაიმე კერძო შემთხვევას წარმოადგენს. მამრებთან დაკავშირებულ სიტყვებს ხშირად აქვთ დადებითი კონოტაციები; ისინი გადმოგვცემენ ძალაუფლების, პრესტიჟისა და წინამძღოლობის ცნებებს. ამის საპირისპიროდ, მდედრობითი სიტყვები უფრო ხშირად უარყოფითია, გადმოგვცემენ სისუსტეს, ქვემდგომობას, უმნიფრობას, უმნიშვნელოს გაგებას. ქალების აღმნიშვნელი სიტყვები უფრო ვიწრო შინაარსისაა, ვიდრე მამაკაცებისა“ (თორნი და ჰენლი, 1975, გვ. 15). რატომ მაინცდამაინც ინგლისური გახდა ასეთი ბრალდებების სამიზნე? ამის მიზეზად ორი ფაქტორი შეიძლება დასახელდეს: а) ადრეული ამერიკული და ბრიტანული ფემინისტური მოძრაობა, რომელსაც ცნობილ გარემოებათა გამო ეროვნული, პოლიტიკური და სოციო-კულტურული ფესვები ჰქონდა; ბ) სქესის გამოხატველი გრამატიკული და ლექსიკური საშუალებების სისტემა თანამედროვე ინგლისურში...

სწორედ ამ ფაქტორებზე დაყრდნობით შეიძლება გავარჩიოთ სამი მოდელი ენისა და გენდერის ურთიერთობაში მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე. პირველი მათგანი არის დეფიციტის მოდელი, რომლის ფარგლებში ქალები

არახელსაყრელი პოზიციის მქონე მოლაპარაკეებად ჩანან; ამის კარგი მაგალითია რ. ლეიკოფის (1975) ზემოხსენებული წიგნი. მეორე არის **დომინანტობის** მოდელი, რაც იმას გულისხმობს, რომ ქალები უუფლებო მდგომარეობაში არიან მამაკაცებთან ვერბალური ურთიერთობისას (ციმერმანი და უესტი, 1975). დაბოლოს, მესამე არის **კულტურული სხვაობის** მოდელი, რომლის მიხედვითაც ქალები და მამაკაცები ორი სხვადასხვა კულტურის ნარმომადგენლებად განიხილებიან (მალცი და ბორკერი, 1982; თანენი, 1991). ჩვენი აზრით, ეს მოდელები არ გამორიცხავს ერთმანეთს: განსხვავება რომ არის და თანაც არა მარტო ფიზიოლოგიის დონეზე, ეს თავისთავადაც ცხადია; სოციო-კულტურული სხვაობები კი შესაძლოა პოვნიერი იქნეს არა მარტო თანაბარ, არამედ ერთმანეთთან იერარქიულ მდგომარეობაში მყოფ ჯგუფებს შორის; სწორედ აქ უნდა ვიგულისხმოთ ერთ-ერთის დომინანტობა. რაც შეეხება მესამე მოდელს, არადომინანტური ჯგუფის პოზიცია სწორედ გარკვეული დეფიციტის შედეგადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ეს ბუნებრივიც იქნება. საგულისხმოა, რომ ამ მოდელის მომხრე ყველა სპეციალისტი თავისი მოსაზრების დასაბუთების პოვნას ენაში და სქესთა შორის ვერბალური ურთიერთობების პერიპეტიებში ცდილობს.

ღირსსაცნობია, რომ გენდერლინგვისტური თვალსაზრისით მსგავსებებისა თუ განსხვავებების გამოვლენა ქართულსა და დასავლეთ ევროპის ინდოევროპულ ენებს შორის ჯერ კიდევ ძალზე დიდ შრომას მოითხოვს. ეს, ალბათ, უახლოესი მომავლის საქმეა. სწორედ ამ მიმართულებით ჩასატარებელი კვლევის ობიექტურად ნარმართვის მიზნით კი გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ უცხოურ სპეციალურ ლიტერატურაში დაფიქსირდა დასავლური კულტურებისა და მათი ენების ანალიზის შედეგად მიღებული დებულებების უნივერსალიზაციის ტენდენცია. სამწუხაროდ, ბოლო დრომდე ვერ ამჩნევდნენ ამ ტენდენციის მავნე გავლენას მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგების ობიექტურობაზე. დასავლური ფასეულობების ‘პროკრუსტეს სარეცელმა’ ვერ გაუძლო იმ ფაქტს, რომ გენდერული განსხვავებები, რომლებიც ყველა საზოგადოებაშია პოვნიერი და გარკვეული სახით ვლინდება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ნაირგვარია კულტურიდან კულტურაში. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება,

როდესაც გენდერული სხვაობების ენობრივ გამოხატულებაზეა საუბარი.

საერთოდ, გენდერის, როგორც სქესის სოციოკულტურული ასპექტის, ცნებას თავისთავად უნდა გამოერიცხა ამგვარი უნივერსალიზაცია. გენდეროლოგიამ წარმოაჩინა, რომ ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების, ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს არა ბიოლოგიური სქესი, არამედ კულტურული ფასეულობანი. გარემოსა და აქტუალური სოციალური სიტუაციის გათვალისწინებით კულტურა გამოარჩევს ადამიანის თავისებურებებათა ერთ წევებას და ჩაახშობს მეორეს, რომლებიც არ ესადაგება მის არსებობას. ამიტომაა, რომ ქალი ხდება ქალური (ფემინიური) და მამაკაცი — მამაკაცური (მასკულინური), რაც ხორციელდება მოცემულ კულტურაში მისი სქესის წარმომადგენლისათვის მისაღები ქცევის სტანდარტების ათვისების შედეგად. ენა ერის კულტურულ (სულიერ) ფასეულობათა გამომხატველი, შემნახველი, კვლავ წარმომშობი და ამმოძრავებელია. ამკარაა, რომ ენის ფაქტორი გადამწყვეტია გენდერულ განსხვავებათა წარმოჩნის და მათთვის სათანადო კვალიფიკაციის მიცემის საქმეში. ამ ფაქტის გათვალისწინება იმაშიც მოგვეხმარება, რომ სწორი პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვას: რატომ არ განვითარდა გენდეროლოგიური კვლევა ჩვენში სწრაფად? გავიხსენოთ, რამ შეუწყო ხელი მის განვითარებას დასავლეთში: საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და ენობრივმა ფაქტორებმა. ფემინიზმის აყვავებისათვის ჩვენში სათანადო ნიადაგი არ იყო და არც უჩენია მას თავი. რაც შეეხება ენობრივ მახასიათებლებს, ქართული მსოფლიოს იმ ენათა რიცხვს ეკუთვნის, რომლის მრავალი თავისებურება მხარს არ უჭერს დასავლურ გენდერლინგვისტიკაში მიღებულ ბევრ სტერეოტიპულ დებულებას. თუმცა ეს თავისებურებანი ჯერ კიდევ ელის შესაფერის აღნერასა და შესწავლას.

საქართველოში ენისა და გენდერის საკითხების კვლევის თვალსაზრისით ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული; რამდენიმე წლის წინათ ჩვენში ამ მხრივ ისეთივე მდგომარეობა იყო, როგორის შესახებაც თავის დროზე ერთი ბრიტანელი მეცნიერი წერდა: „როდესაც დავიწყე ფემინის-

ტურ ლინგვისტიკაში მუშაობა, ბრიტანეთში, ყოველ შემთხვევაში, არ არსებობდა მასზე უფრო ბუნდოვანი და ნაკლებად სანდო სფერო.... ერთ-ერთი ინტერვიუს დროს კორესპონდენტმა ასეთი შენიშვნა გააკეთა ჩემს წიგნზე „ფემინიზმი და საქანათმეცნიერო თეორია“: ’კი, მაგრამ ეს იგივე არ არის, რომ დაწერო წიგნი ლინგვისტიკისა და ორგანული მებაღეობის შესახებ?’“ (კამერონი, 1995, გვ. 31).

საქართველოში უკვე არსებულ და გამოქვეუნებულ მასალებს აუცილებლად უნდა გაუკეთდეს სათანადო გენდეროლოგიური ექსპერტიზა, რამაც გამორჩეულად მნიშვნელოვანი კანონზომიერებები უნდა წარმოაჩინოს დასკვნების გამოტანისას.

## **ქართული ეროვნული იდენტობის გენდერული მარკერების ძიება “ივერიის” ფურცლებზე**

სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ გენდერი ამავე დროს ისტორიული კატეგორიაცაა, რაშიც ის იგულისხმება, რომ ერთ ისტორიულ პერიოდში რელევანტური გენდერული სტერეოტიპი ასეთად შესაძლოა ვერ გამოდგეს მეორისათვის. აღნიშნული დებულების გათვალისწინება აუცილებლად მიგვაჩნია ჩვენს შემთხვევაში, როდესაც მე-19 საუკუნეში ამ მხრივ არსებულ ვითარებას ვაანალიზებთ. ჩვენი მიზანია, დავძებნოთ, დავაფიქსიროთ, გამოვავლინოთ და გავაანალიზოთ ყველა ის მასალა, რომლებიც გენდერულ პრობლემატიკას შეიცავს „ივერიაში“ სხვადასხვა დროს დაბჭებილ პუბლიკაციებში.

მიუხედავად იმისა, რომ „ივერიის“ საპროგრამო წერილებში ხშირადაა გაცხადებული, რომ „რედაქცია ყოველს ორნის-ძიებით ეცდება, რომ არავითარი საინტერესო მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში უყურადღებოდ არ დატოვოს“, მაინც უნდა ვალიაროთ, რომ მის ნომრებში არცთუ უხვია ე.წ. გენდერული პრობლემებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები. აღნიშნული არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ ზოგიერთი პერიოდის ნომრებში საერთოდ არ გვხვდება ქალთა პოლიტიკური, სოციალური, ქონებრივი, საგანმანათლებლო და სხვა უფლებებისადმი მიძღვნილი მასალები. ასეთები, რა თქმაუნდა, არის.

### **გენდერული თანასწორობის საკითხები**

გენდერული მარკერების ძიებისას ისეთ პუბლიკაციებსაც აქვთ მნიშვნელობა, რომლებიც უშუალოდ არ ეხება სა-

ქართველოს ამბეჭს, რადგანაც თემატურად ისინი მაინც ღი-რებული გახლდათ ჩვენი საზოგადოებისათვის. ამას რედაქ-ციის არჩევანიც ადასტურებს. ასეთ პუბლიკაციად შეიძლება განვიხილოთ სტატია „ქალების არჩევანის უფლება და ინ-გლისის პარლამენტი“ (16, 1877). ხსენებული პუბლიკაციის ავტორი ასეთი შესავლით გვაცნობს არსებულ ვითარებას:

ათმა წელიწადმა გაიარა მას შემდეგ, რაც ქალებმა პირველად არჩევანის უფლება ითხოვეს ინგლისი პარლამენტში. მაშინ ეს თხოვნა დუონ-სტუარტ-მილ-ლმა შეიტანა ლონდონის პალატაში. არზაზედ 1500 კაცს ეწერა ხელი. მას აქეთ ეს საქმე არათუ არ შემ-წყდარა, არამედ საკვირველად გაძლიერდა, სიმტკიცე და სიბეჯითე მოემატა, უფრო გავრცელდა და თით-ქმის მთელს საზოგადოებას მოედო. ეს გარემოება მით უფრო საკვირველია, რომ ამ ათი წლის განმავა-ლობაში ქალებს ყოველ წლივ შეჰქონდათ პარლამენ-ტში ერთი და იგივე თხოვნა და პარლამენტი ყოველ-წლივ ერთსა და იმავე უარს ეუბნებოდა. აბა ვის არ გაუგრილდებოდა გული და ვინ არ დაჰკარგავდა სა-სოებას?

განსაკუთრებით საინტერესოა ახალი არზის განხილვის რა პერიპეტიიებს აქცევს გაზეთი ყურადღებას:

აი რაში მდგომარეობს ქალების გულისტკევილი ამ შემთხვევაში: 5 თიბათვეს (24 მაისს) ქალების დეპუ-ტაცია მივიდა მინისტრ ნორტკოტთან და თხოვნა წა-რუდგინა. ემვორტის ქალმა უთხრა, რომ ბევრგან უმთავრესი ნაწილი მამულ-დედულისა ქალების სა-კუთრებაა და ადგილობრივთა მოხელეთა ამორჩე-ვისათვის კენჭი აქვსთ მინიჭებულიო, დეპუტატების ამორჩევისათვის კი არა აქვთო უფლება. ეს უსამარ-თლობაა და ამიტომ გთხოვთ პარლამენტში ჩვენ მოგვემხროთო, როდესაც ჩვენი თხოვნა განიხილე-ბაო.

აღნიშნულთან დაკავშირებით სტატიის ავტორი შემდეგ კომენტარს აკეთებს:

ქალებს რომ ეგ სურვილი აუსრულდეს, რა შედეგი ექნება? ქალთათვის არჩევანის უფლების მინიჭება მავნებელია თუ საკეთოლო? ამ კითხვის ვრცელი პასუხი მოკლე მიმოხილვაში, რასაკვირველია, შეუძლებელია და ცალკე წერილის ღირსია.

წარმოდგენილი კომენტარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ცხადი ხდება, რომ იმ დროს არ იყო ცალსახა დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ქართულ საზოგადოებაში. ინგლისის პარლამენტში გამართული დებატებისას გამოთქმული მოსაზრებები კი ძალიან ჰგავს მაშინდელ საქართველოში არსებულ განწყობებს ქალის ადგილის თაობაზე:

6 თიბათვეს, როდესაც ამ საგანზედ ბაასი გაიმართა, პარლამენტში ახალი არა თქმულა რა. რაც ათის წლის განმავალობაში თქმულა ქალების წინააღმდეგ ყველა ის განიმეორეს ეხლაც. ხელმეორედ დაიწყეს ლაპარაკი, რომ ქალებს რო არჩევანის უფლება მივცეთო, ოჯახობა დაირღვევაო, ქალებს სინაზე დაეკარგებათო, კაცებისაგან რაინდულს პატივისცემას დაჰკარგვენო, საზოგადოებრივი ზნეობა დაეცემაო და სხვ. “დეპუტატ ჰენბერის უთქვამს, რომ „თუ უქმრო ქალებს მივეცით კენჭიო, მაშინ არა ქალი არ გათხოვდებაო, არჩევანის უფლება გაუთხოვრობის ჯილდო იქმნებაო. . . თუმცა ქალები ჭკუა-გონებით კაცებს არ დაუვარდებიან, მაგრამ მათის მოქმედების ასპარეზი სულ სხვა არის. ამის გარდა სად უნდა შეისწავლონ ქალებმა ის საპოლიტიკო საგნები, რომელთ ტაობაზედაც კენჭი ჩამოიტარება ხოლმე. ორში ერთი: ან ხალხში უნდა გამოვიდნენ და საპოლიტიკო ყრილობებში მონაწილეობა მიიღონ, ან არა და ახალი საპოლიტიკო მოძღვრები გამოჩნდებიან, რომელნიც ფეხს შეჰსდგმენ ოჯახობაში რომ ჩვენ ქალებს პოლიტიკა ასწავლონ.

ზემოაღნიშნულის მიხედვით თუ ვომსჯელებთ, გამოდის, რომ საჯარო განათლების არქონა, რისი მიღების უფლებაც მამაკაცებმა არ მისცეს ქალებს, დაბრკოლება ყოფილა ქალებისათვის ხმის უფლების მოსაპოვებლად, მაშინ როცა იგივე არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს შესაბამისი განათლების არმქონე მამაკაცებისათვის. მსგავსი განწყობილებების წარმომჩენი უხვი ფაქტობრივი მასალა გვხვდება პროფესორ ტარასოვის წერილში „პედაგოგიური მოსაზრებანი ქალების განათლების შესახებ“ (9, 1885). სტატიის დასაწყისში ავტორი ამბობს:

ისე ცოტა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ქალების განათლებაზედ ბაასი ასტყდა, რომ ჯერ არც კი დამყარებულა ის აზრი, რომ იგი უნდა შეადგენდეს სახელმწიფოს მოვალეობას. იმისთანა განათლებულ ქვეყანაში, როგორიც საფრანგეთია, 1802 წ. ფრურკრუა ამტკიცებდა კანონთ-მდებელ კრებაში, რომ ქალების განათლება სრულიადაც არ შეადგენს ჩვენს საქმესაო. კაცის განათლებას თვით უძველეს დროდგან მმართებლობა ზრუნავდა და ქალებისას-კი, პოლ უანის სიტყვით, ყოველთვის შემთხვევითი, უმეტოდო და უპრინციპო ყოფილა.

ღირსსაცნობია, რომ ხსენებულ წერილში ტარასოვი მიმოიხილავს ქალთა განათლების მდგომარეობას სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს და საზოგადოების სხვადასხვა ფენასთან მიმართებაში; რაც გამორჩეულად საინტერესოა, საფრანგეთში არსებული ვითარების დროს იგი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რასაც თანამედროვე გენდეროლოგიაში 'გენდერული იდენტობის კონსტრუირებას' (doing gender) უწოდებენ:

კაცსა და ქალს შორის ამ ქვეყანაში არათუ არ არის რაიმე ერთობა, არამედ აღზრდა თვით ყმაწვილობიდგანვე უშველებელ ხევს სთხოვის მათ შორის. მაგალითად, ამობს ზოლა, ავილოთ პატარა უორუეტა და პატარა გუსტავი. ექვს ან შვიდ წლამდის ისინი ერთად თამაშობენ, ერთმანერთს შენობით ელაპარა-

კებიან (იმ პერიოდში საფრანგეთში მაღალი წრის წარმომადგენელი ქალები და მამაკაცები ერთმანეთს საჯაროდ თქვენობით მიმართავდნენ — ზ. კ.) და ხშირად კიდევ წაუთაქებენ ერთმანერთს და ძმურათ. მაგრამ გახდებიან შვიდის წლისა და მათ განაშორებენ. გუსტავი გიმნაზიაში შედის და თავს იტენს ყველა ცოდნით, რაც მეცნიერობას შეუძენია. შემდეგ გადადის უმაღლესს სასწავლებელში, ირჩევს კარიერას და კაცათ ხდება. მელ ხვდება ავს და კარგს, ცხოვრების ძნელს მხარეს იგნებს, სცდის სიხარულს და ვაებას, ცნობულობს ხალხს. უორჯეტა კი ამ დროს თვის დედის ოთახშია, მას ყველაფერს ასწავლიან, რადგან «კარგად აღზრდილმა» ქალმა ყველაფერი უნდა იცოდეს, ესე იგი, მწერლობის ნაწყვეტებს, არითმეტიკას, ისტორიას, გეოგრაფიას, კატენიზის; ფორტეპიანოს უკრავს, ხატავს, ცეკვავს, მაგრამ ცხოვრებისა კი სრულიად არა გაეგება რა; ცხოვრება მას ოთახის ფანჯრიდგან უთვალიერებია, და ისიც მიუხურავთ თუ ქუჩაში არა ჩვეულებრივი ხმაურობა ამტყდარა.

აქ ავტორი ხელშესახებად წარმოადგენს იმ განსხვავებას, რაც არსებობს ბიოლოგიურ სქესსა და გენდერს, როგორც სოციო-კულტურულ ფენომენს, შორის. ეს კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე გენდეროლოგიის მიერ ჩამოყალიბებულ დებულებად ითვლება, ვგულისხმობთ 'გენდერული იდენტობის კონსტრუირებას' (doing gender).

გენდერული ასპექტების თვალსაზრისით საანალიზო წერილში მრავლად გვხვდება საინტერესო მასალა, თუმცა ამ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ ავტორის კიდევ ერთ პასაუზე, რომლის შინაარსიცა და პათოსიც საოცარი სიზუსტით მეორდება თანამედროვე გენდერულ გამოკვლევებში წარმოდგენილი საპროგრამო დებულებების რანგში:

ისტორია ქალისა უძველეს დროთადგან ჩვენამდე წარმოადგენს ღონივრისგან უძლურის დაჩაგვრას. პელლეტანი ამობს, «რომ კაცის ცოდო ქალი არისო, მის მსხვერპლად შექმნილი ედემით გამორეკის შემ-

დეგ და ახლაც-კი ამჩნევია დაღი ექვსი ათასის წლის უსამართლობისაო». დაჩაგრული ყოველთვის ენინა-ალმდეგებოდა დამჩაგვრელს, საცა კი შეეძლო, ოჯახში, საზოგადოებაში და ეს წინააღმდეგობა უშე-დეგოდ არა რჩებოდა: კაცი იძულებული იყო ეძლია მისოვის უფლებანი და ამგვარად საქმეშ ეხლანდელ მდგომარეობამდე მოასწია, როცა ლაპარაკობენ რომ ქალს იგივე უფლებანი უნდა ჰქონდეს, რაც კაცსა.

მაგალითისათვის შეიძლება შევადაროთ თანამედროვე გენდერლინგვისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის რობინ ლე-იკოფის წიგნი „ენა და ქალის ადგილი“ (1975).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სათაურშივე გაცხადებული გვაქვს ეროვნული იდენტობის გენდერული მარკერების ძიება, ჯერჯერობით მხოლოდ უცხოეთთან დაკავშირებულ თემატიკას შევეხეთ, თუმცა სამართლიანობის გულისათვის უნდა ითქვას, რომ ზემოთ წარმოდგენილი პრობლემები საერთო გახლდათ თითქმის ყველა საზოგადოებისათვის. ჩვენთვის ლირსსაცნობია არა მარტო ამ პუბლიკაციების თემატიკა, არამედ ის, თუ რა ასპექტებს წამოსწევენ წინ მათი ავტორები პირველ რიგში. ამ მხრივ ნამდვილად ნიშანდობლივია 1882 წლის „ივერიის“ 4-5-სა და 6-ში გამოქვეყნებული პუბლიკაცია „ისტორიული სურათები“. ამ მასალის ავტორი ყურადღებას ამახვილებს ისტორიულ ქალ პიროვნებებზე, როგორც ქართული საზოგადოების პროგრესულ და ავანგარდულ ნაწილზე; აქ ნაკლებადაა საუბარი ქალთა იმ უსამართლო ჩაგვრის შესახებ მამაკაცთა მხრიდან, როგორც ეს თუნდაც ზემოგანხილულ პუბლიკაციებში გვხვდება. „ისტორიულ სურათები“ სწორედ ის პუბლიკაციაა, სადაც გენდერული სპეციფიკა ეროვნული იდენტობის წრთობის პროცესთან უშუალო კავშირში. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ ავტორი თვალსაჩინო მასალას საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა პერიოდიდან გვაწვდის.

მცხეთის მამასახლისისა და მისი ძმის, ფარნავაზის მამის, მკვლელობისა და აზონის მმართველობის მიმართ რეგვარი ჯანსაღი რეაქციის გამოხატულებად პუბლიკაციაში შემდეგ პასაჟს ვნახულობთ:

აი ამ ულმობელს დროს დედამა და დებმა ფარნავაზი ჯერ მამულის სიყვარულში აღზარდეს, და მერმე არამცთუ არ დაუშალეს იმას აზონის წინააღმდეგობა, არამედ ზნეობითად ამხნევებდნენ იმას მოქმედების ასპარეზზე. ისინი თან მისდევენ იმას ყოველგან, სადაც მათი ყოფნა საჭიროა. ფარნავაზის გულში დედას რომ არ გაეღვიძებინა სიყმანვილობიდანვე უფლების მოყვარეობა, იმას იქნება არც კი მოენდომებინა მეფის შოვნა. უეჭველია, ამ გვარს სურვილის გაღვიძებისათვის, კაცის გულში დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდას. «ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო,» ამბობს ქართველი ხალხი. თუ ასეა, მაშ უეჭველია, ფარნავაზში დედამ და დებმა შიიღეს მონაწილეობა ქართველ ჩამომავლობის თემების შეერთებაში ერთ მეფის უფლების ქვეშ; იმათ იზრუნეს ქართველთ ხალხოსნობის აღდგენისათვის, იმათის მეცადინეობით აღსდგა მამა-პაპური სარწმუნოება, ზნე, ჩვეულება და ენა.

არა მხოლოდ დამოუკიდებლობის აღდგენის, არამედ ქართველთა გაქრისტიანების საქმეშიც ქალები წინა პლანზე არიან წარმოდგენილი:

მაგრამ ქრისტეს ქვეყნად მოსვლამდე ქართველებს არა ჰქონდათ მოსაწნონი სარწმუნოება. ისინი თაყვანსა სცემდნენ ქართლოსის საფლავს, როგორც გაღმერთებულს მამათ-მთავარს, კერპს შოთას, რომელიც ხვნა-მთესველობის ღმერთად მიაჩნდათ; აგრეთვე კერპებს გაციმს და გაიმს, არტემის და აპალონს; კიდევ ცეცხლს, მთვარეს, მზეს და შვიდს ვარსკვლავს—«მრავალს.» ამათი მსხვერპლი იყო სხვათა შორის სისხლი კაცისა. უბრალო და უმანკო ყმანვილების ყელსა სჭრიდნენ ამ კერპების წინაშე. ეს უწყალო ჩვეულება—კუტი უნუხებდა და უმნარებდა გულს დედათ, ათქმევინებდა მათ მწარე სამდურავს მამა-პაპურს სარწმუნოებაზე. აპა რომელი დედა არ მოინდომებდა იმ სარწმუნოების ამოგდებას, რომელიც მსხვერპლად ითხოვდაიმათ საყვარელ შვილებს

და იმათ კი მნარე და მდუღარე ცრემლით ატარებდა? დიალ! მოიწადინეს დედა-კაცებმა და კიდევაც შეცვალეს ქართველ ხალხს სარწმუნოება. იმათ დაიწყეს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება და კიდევაც დააგვირგვინეს თავიანთი კეთილი წადილი. კაცები უარს იყვნენ იმათ განზრახვაზე.

ამის შემდეგ:

როცა 45-სა და 60 წლებს შუა ქრისტეს ამაღლების შემდეგ საქართველოში მეფობდა ადერკი, სამცხე-კლარჯეთსი მთავრობდა ქვრივი დედა-კაცი გვარად სამძივარი. ამ დროს მოვიდა აქ ანდრია მოციქული და დაიწყო სამცხეში ქადაგება ქრისტეს სჯულისა. გაიგონა თუ არა მთავარმა დედა-კაცმა, რომ ანდრიას ღმერთს კაცის მსხვერპლად შენირვა დიდ ცოდვად მიაჩნია, დიდად მოეწონა ეს ამბავი და მაშინვე თვითონაც ირწმუნა ქრისტე და თავის მცირე წლოვანს შვილსაც მიაღებინა ქრისტიანობა. მაგრამ, რადგან მარტო ამათის რწმუნებით არა გამოვიდოდა-რა, მოიწადინა ქრისტიანობის ხალხში გავრცელებაცა. მას ჩაგონებით ხალხმა მიიღო ახალი სარწმუნოება. სამცხე, იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი და სვანეთი ანდრიამ მოაქრისტიანა დედა-კაცის შემწეობით. მაგრამ, საუბედოროდ, დედა-კაცისგან დაწყობილ საქმეს მეფე ადერკიმ დიდი წინააღმდეგობა გაუწია. შეიტყო თუ არა, სამცხე-კლარჯეთმა და მთელმა დასავლეთ საქართველომ მამა-პაპური სარწმუნოება გამოიცვალაო, ძლიერ ინყინა და ძალად მიაქცივა ხალხი ისევ ძველს სჯულზე და ძლიერად დატუქსა სამცხის მთავარი სამძივარი და თავადობა. მაგრამ ქრისტიანობა მაინც არ მოკვდა ამ დევნით.

შემდეგ მოდის თხრობა წმინდა ნინოს მისიის შესახებ და აქაც ყველაზე აქტიური და პოზიტიური აქტორები მანდილოსნები არიან:

მაგრამ ამ დროს ქართლ-კახეთის ქართველები ჯერ ქრისტიანობას არ აღვიარებდენ. სამცხე-კლარჯე-თის დედა-კაცები მეცადინეობდენ ქრისტიანობის გავრცელებას ამ მაზრებშიაც, რადგან ეს საქმე იმათ თავიანთ მოვალეობად მიიღეს. კაცების წინააღმდეგობაში ვერ მოდრიკა და ვერ გასტეხა სიმტკიცე იმათის განზრახვისა. იმათ მაინც დაამხვეს ყოველგან საქართველოში წარმართობა და შემოიღეს სჯული ქრისტესი. ეს ამპავი მოჰქვდა 318 წლის შემდეგ ქრ. დაბადებისა მოციქულთა სწორის წინოსაგან, ის მოვიდა მცხეთაში 5 აგვისტოს. ექვს ამ თვისას იყო არმაზ კერპის დღეობა. ხალხი იქ მიდიოდა დღეობაზე. წინოც იქ წავიდა. აქ იმან გაიცნო მეფე მირიანის ცოლის სეფე-ქალი ( სახელად შროშანა, რომელმაც სთხოვა მოდი, სასახლეში და იქ იცხოვრე; მაგრამ ნეტარმა წინომ არ ინება. ამ სალამოს ის შეეხიზნა მეფის მებალის ცოლს ანასტასიას. მერმე გაიცნო მცხეთელ ურიეის მღვდლის ქალი სიღონია და კიდევ სხვანიცა, მაგრამ ანასტასიას არ მოჰშორდა. მასთან იცხოვრა იმან ცხრა თვე. ამ დროს განმავლობაში შეისწავლა მცხეთელების ხასიათი და თავის სახლის პატრონის ცხოვრების გარემოება. როცა შეიტყო რომ ანასტასია უშვილო არისო, იმან უჩამლა და გახსნა შვილიერება მისი. შეიტყვეს მისი ასეთი ექიმობა მცხეთელებმა დაიწყეს მასთან ავად-მყოფების მოყვანა საწამლოდ. ის ყველასა სწამლობდა და არჩენდა. ამ ხელობით იმან შეაყვარა ხალხს თავი. იმას ახლა ყველანი პატივსა სცემდნენ. მოდიოდნენ იმასთან და ყველაფერში რჩევასა სთხოვდენ და იმასაც არ ჰქონდა მათთვის თავისი ცოდნა. სამ წლის განმავლობაში იმან ისე შეიძინა ხალხი, რომ ყველა მის ღმერთსა ჰფიცავდა. მაგრამ უფრო მომეტებულად ის დედა-კაცებს იახლოვებდა. ვისაც კი რაიმე სიკეთე უყო მათგანს, ყველას მხოლოდ ისა თხოვა, შრომის ფასად რომ სწამდეთ ქრისტე ღმერთი და ყოვლად-წმინდა ღვთის მშობელი. ამ სახით იმან 12 დედა-კაცი დაიმოწაფა, და ხალხის გულიც კეთილის ყოფით მოინდო. ის ახლა ყველას მიაჩნდა წმინდა

დედა-კაცად. თვით მეფე მირიანი ეუბნებოდა იმას, რომ შენ არმაზ კერპის შვილი ხარო. ასე რომ გაიერ-თგულა ყველანი: მეფე, დედოფალი, დიდებულნი და დაბიო ხალხი. ის გამოდის ქრისტიანობის საქადაგო ასპარეზზე. თანა ჰყავს თორმეტი დედა-კაცი: შრო-შანა, ანასტასია, სიდონია, მებალის ცოლი და სსვანი და მხნედ ქადაგებს ქრისტეს სჯულს. მეფე მირიანი და სამეფის დიდებულნი კაცნი მას ემტერებიან, მაგ-რამ დედოფალი ნანა და სალომე უჯარმოელი მას ესარჩელებიან და კაცებს ნებას არ აძლევენ, რომ რა-იმე ავნონ ნინოსა და იმის თორმეტს მოწაფესა. იწყე-ბა ბრძოლა დედა-კაცებსა და კაცებს შორის. მამა-კაცებს არ უნდათ, რომ საქართველოში ქრისტიანო-ბა გავრცელდეს. მაგრამ სამ წლის განმავლობაში კა-ცების წინააღმდეგობა გასტეხეს დედა კაცებმა და მოაქციეს სჯულზე არამც თუ ხალხი, არამედ მეფე-ცა და სამეფოს დიდებულებნი კაცნიც. დედა-კაცებ-მა გაიმარჯვეს მცხეთაში. მამა-კაცნი დაჰმორჩილ-დენ იმათ სურვილს. დედა-კაცებმა მოჰქადეს მეფეს წარმართობის გვირგვინი და დახხურეს ქრისტიანო-ბისა. საჭირო იყო მისი გავრცელება საქართველოს მაზრებშიაცა. დედა-კაცებმა დაიწყეს აქაც მხნედ და მტკიცედ მოქმედება. მირიან მეფის შვილის (რევის) ცოლმა მოაქცია ქრისტიანობაზე იორის ხეობაში მცხოვრები ქართველი ხალხი და აღმართა უჯარმაში ჯვარი ქრისტესი. ამავე დროს მივიღა ქიზიყში წმინ-და ნინო და აქაური დედუფლის სუჯის შემწეობით გააქრისტიანა ქიზიყელები და დანარჩენი კახეთის ხალხი, და რადგან კახეთი ძალიან მოენონა, ის აღარ წამოვიდა მცხეთაში. ამან აღირჩივა საკანად სოფე-ლი ქიზიყისა ქედელი. აქედგან დაწერა წიგნი და გა-მოუგზავნა მეფე მირიანს, რომ კახეთი მთლიანად გავაქრისტიანეთო: წერილი გამოატანა ქიზიყის დე-დოფალს სუჯის. ეს შეჯდა ცხენზე და მოადგა თავის ამაღლით მდინარე არაგვის პირას. წყალი ადიდებული დაჰხვდა, მაგრამ არ დაერიდა მდინარის ღელვას, არ შეუშინდა, ჩააგდო შიგ ცხენი და გასცურა მცხეთაში:

მიულოცა მეფეს გამარჯვება და მთელს საქართველოში ქრისტიანობის სამეფო ტახტზე აღსვლა.

უაღრესად თვალსაჩინოა პასაჟი, რომელიც მწიგნობრობისა და განათლების საკითხებს ეხება. აქ ავტორი აღნერს ერთგვარ შრომის გენდერულ დაყოფას, კერძოდ, საუბარია არა სწავლის, არამედ სწავლების საქმეში არსებული გენდერული დიფერენციაციის შესახებ, როთაც გარკვეულილად ეხმაურება თავის დროსა და მაშინ არსებულ ზოგიერთ განწყობილებას:

დედოფალი, თავად-აზნაურების ცოლები და გლეხთ დედა-კაცები კი განავითარებდნენ სწავლაში ერთმანეთის შვილებსა და ქალებს. «ხელი ხელს იბანსო», რომ იტყვიან, იქნება ამაზე იყოს ნათქვამი. «ხოლო მეფემან მირდატ», ამბობს «ქართლის ცხოვრება», ძე თავისი ვახტანგი გორგასლანი საურმაგ სპასპეტ-სა აღსაზრდელად, «რამეთუ წესი იყო, რათა შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა იზრდებოდნენ». (იხ. გვ. 110). მასთან ერთად იყო შეზრდილი აგრეთვე არტვაზ ერისთავი და იყო მეფის «ძუძუს-მტე».» ეს ძველებური წესი აღზრდისა იმაში მდგომარეობდა, რომ ყმაწვილს წერა-კითხვას დედა-კაცი ასწავლიდა., სამხედრო საქმეს კი ამ მასწავლებელი დედაკაცის ქმარი. ამაზედ არის ნათქვამი, რომ «წიგნი დედა-კაცის საქმეა და არა მამა-კაცისაო.» მაგრამ ქართველი ხალხი იმისათვის კი არ ამბობდა, წიგნი დედა-კაცის საქმეა. რომ მისი სწავლა ვითომოც კაცების მოვალეობად არ მიაჩნდა: ამ გვარი თქმულობის მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ დედა-კაცები ასწავლიდნენ წიგნს თავადსაც, აზნაურსაც, გლეხსაც, ქალსაც და ვაჟსაც. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ საბეროდ და სამღვდელოთაც, თუ არა ყველას, მრავალს მაინც არის, დედა-კაცები ამზადებდნენ: ისინი ასწავლიდნენ ქართულს წერა-კითხვას, დავითნს, სახარებას, სამოციქულოს.

როგორც ვხედავთ, ხაზგასმულია სწავლების საქმეში არა მხოლოდ ქალთა მონაწილეობის, არამედ, როგორც უკვე აღინიშნა, შრომის გენდერული დაყოფის შესახებ (შდრ. „ლუ-არსაბ თათქარიძე“). სხვათა შორის, მე-19 საუკუნის ქართულ ბეჭდურ მედიაში ამ მხრივ არცთუ მთლად ჯანსაღი და-მოკიდებულება ფიქსირდება და საკმაოდ არაიშვიათადაც (იხ. მაგ., გაფრინდაშვილი, 2005).

## ქალთა განათლების საკითხები

მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა ცნება და ტერმინი “გენდერი” ან მისი ბადალი სხვა რაიმე ერთეული, იმ პრობლემებს, რასაც დღეს გენდერულს ვუწოდებთ, თითქმის ყოველთვის აღიარებდნენ და განიხილავდნენ კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში მეტ-ნაკლები დოზით. ნათქვა-მი გარკვეულწილად გენდერთან დაკავშირებულ ენობრივ პრობლემატიკასაც ეხება. როგორც წესი, გენდერლინგვისტიკურ სპეციალურ ლიტერატურაში საკითხის კვლევის ისტორიის თვალსაზრისით გამოყოფენ ორ პერიოდს; ესენია:

1) **ბიოლოგიური დეტერმინიზმი**, რომელიც სათავეს იღებს ანტიკური ხანიდან და რომლის ფარგლებში შეიძლება მოვაქციოთ არარეგულარული ხასიათის გამოკვლევები, სა-დაც გვხვდება შესაბამოსო ხასიათის დაკვირვებები;

2) **საკუთრივ გენდერული გამოკვლევები**: დასაწყისი — მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლები.

ამ მიდგომის მიხედვით, იღიას „ივერიის“ გამოცემის წლები ე.წ. ბიოლოგიური დეტერმინიზმის პერიოდში უნდა მოექცეს. ქრონოლოგიური თვალსაზრისით ნამდვილად ასეა, თუმცა, თუ მხედველობაში მივიღებთ „ივერიის“ ფურცლებზე წარმოდგენილ გენდერულ და, კერძოდ, ენობრივ-გენდერულ პრობლემატიკას, მაშინ შესაძლოა ქრონოლოგიური და კონცეპტუალური ჩარჩოები ველარ დაემთხვეს ერთმანეთს. საქმე იმაშია, რომ, როგორც რაოდენობრივი, ისე შინაარსობლივი და კონცეპტუალური თვალსაზრისით, აქ ჩვენს წინაშე თავმოყრილია თვისებრივად გამორჩეული მასალა. როდესაც რაოდენობრივ ფაქტორზე ვსაუბრობთ, უნდა აღ-

ვნიშნოთ, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები სანთლით საძებარი არ გახლავთ. რაც შეეხება შინაარსობლივ მხარეს, ეს პუბლიკაციები უაღრესად მრავალფეროვანია და მრავალ განსხვავებულ ასპექტს აშეუქებს, არც უკვე წარმოჩნდა ზემოთ. და მაინც, მთავარი და გამორჩეული თავისებურება ამ პუბლიკაციებისა მდგომარეობს კონცეპტუალურ მიდგომაში. როგორც წესი, ზემონახსენები ბიოლოგიური დეტერმინიზმის პერიოდში გენდერული პრობლემატიკა განიხილებოდა ოდენ სქესობრივ, ფიზიოლოგიურ განსხვავებათა ჭრილში, ანუ საუბარი შეეხებოდა ქალთა მდგომარეობას. უნდა ვალიაროთ, რომ ნომინალურად თითქმის იგივე ვითარება გვაქვს „ივერიის“ ფურცლებზე; მაგალითად, „ქალთა განათლების გამო“, „დედათა კითხვა ანუ ქალთა საკითხი“ და ა.შ. თუ ყურადღებით წავიკითხავთ ამ სათაურების ქვეშ წარმოდგენილ ტექსტებს, ცხადი გახდება, რომ მათი ავტორის ნაზრევს ძნელად თუ მოვაქცევთ ბიოლოგიური დეტერმინისტების მარაქაში.

საქმე იმაშია, რომ ილია ჭავჭავაძე ამ საკითხების განხილვის დროს პრობლემისადმი სოციალურ-კულტურულ და პოლიტიკურ მიდგომას მიმართავს. მსგავსი მიდგომა აღნიშნული საკითხებისადმი უაღრესად დიდ იშვიათობას წარმოადგენდა იმ დროში. სანიმუშოდ განვიხილოთ ზოგიერთი პასაუი მისი სტატიიდან „სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი წოდებრიობის წინააღმდეგ განათლების საქმეში“ (31 დეკემბერი, 1893 წ.). დასაწყისში ავტორი მიესალმება ხელისუფლების მიერ გადაგმულ ნაბიჯებს ქალთა განათლების თვალსაზრისით არსებული ვითარების გამოსასწორებლად:

ასეთი განკარგულება, რასაკვირველია, დიდის თანაგრძნობით იქნება მიღებული, ნამეტურ ხალხის მიერ, რადგანაც გლეხთა ქალები მრავალგან თითქმის იმდენსა მუშაობენ მინას, რამდენსაც თვით მამაკაცნი, ამ შემთხვევაში საგანგებო სამეურნეო წესდების ცოდნა და სწავლა ფრიად დაეხმარება გლეხის ოჯახობას, რომელმაც ხშირად სულ უბრალო დამაბრკოლებელის მიზეზის მოშორებაც-კი არ იცის თავიდან.

იქვე ავტორს უკვე სხვა მიმართულებით გადააქვს ჩვენი ყურადღება და მნიშვნელოვან კითხვასაც სვამს:

მაგრამ ამ ახალის კანონის შემდეგ უნებურად ებადება კაცს ეს აზრი: დაბალ სამეურნეო სასწავლებელში-კი ეძლევათ ქალთა უფლება შეისწავლონ მიწის მუშაობა, განვითარდნენ და დახელოვნდნენ მამულის მოსავლელად, — მაგრამ ამნაირივე უფლება ენიჭებათ მათ უმაღლესი სამეურნეო განათლების მისაღებადაც, თუ არა?

დასმულ შეკითხვას ავტორი შემდეგი ტონალობით პასუხობს:

ჩვენდა სამწუხაროდ, ამ მხრივ ჯერ კიდევ დახშული აქვთ კარი ქალთა, და უმაღლესი სამეურნეო სკოლები დანუშნულია მხოლოდ მამაკაცთათვის.

ამ სამწუხარო სინამდვილეს ილია არა რისხვით, არა-მედ რაციონალური ხედვით უდგება:

რასაკვირველია, ქალთა სამეურნეო სასოფლო სკოლა ახალი საქმეა და, რომ დაბადებისთანავე ამ სკოლას არ დაჰყვა სამეურნეო აკადემიებში შესვლის უფლებაც, ეს აგრემოება სრულად არ უნდა გვაეჭვებდეს და გვისპობდეს იმედს იმის შესახებ, რომ შემდეგშიც დავიწყებული იქნება ქალთა საართლიანი სურვილი უმაღლეს სამეურნეო სკოლაში შესვლისა.

ერთი შეხედვით, აქ წამოწეული პრობლემა უფრო ქალთა საკითხების სფეროს მიეკუთვნება, ვიდრე გენდერულს, რადგანაც ეს უკანასკნელი პირველ რიგში სოციალურ ასპექტებს მოიცავს. მაგრამ განათლება არ წარმოადგენს ბიოლოგიურად დეტერმინირებულ საქმიანობას. ამიტომ, საკითხი თავისი არსით სწორედაც რომ გენდერულია. და მაინც, ილია ჭავჭავაძე კონცეპტუალურად უფრო სხვა რანგში აყენებს საკითხს, რაც მის მსჯელობას ღირებულებას უნარჩუნებს

გენდერული კვლევების დღევანდელი მდგომარეობის თვალ-საზრისითაც. ზემომოყვანილ პასაჟს იგი შემდეგ დასკვნას აახლებს:

ადვილი შესაძლოა, რომ ჩვენი მოლოდინი გაცუდ-დეს, და უმაღლესის სამეურნეო სასწავლებლის კა-რები მომავალშიც დახშული იქნეს ქალთათვის; მაგ-რამ პირველი ნაბიჯი დედათა სქესის რომელისამე უფლების მინიჭებისა მაინც მოსალოცავია და სასია-მოვნო მისაგებებელი.

დასაწყისში გამოთქმულ პესიმიზმს გარკვეული ფაქ-ტობრივი საფუძველი აქვს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ არსებულა განათლების სამინისტროს კიდევ ერთი პროექტი, „რომლის ძალითაც „ქალთა გიმნაზიებში“ ექნებათ ადგილი მხოლოდ უმაღლეს წოდების ყმაწვილებს“. როგორც ვხე-დავთ, მოცემულ შემთხვევაში გენდერულ სხვაობასთან კომ-ბინაციაში შემოდის კიდევ ერთი სოციალური პარამეტრი; ეს არის წოდება.

ილია ჭავჭავაძე შემდეგი კომენტარით ეხმაურება აღ-ნიშნულ გადაწყვეტილებას:

ჩვენ კარგად ვერ გაგვიგია, რას ნიშნავს ამ შემთხვე-ვაში სიტყვა — უმაღლესი წოდება, რადგანაც ის არევ-დარევა წოდებათა მნიშვნელობის შესახებ ეხ-ლანდელს დროში, რომელიც ყოველგან არსებობს, მრავალ იჭვსა და გაუგებარს გარემოებას გამოიწ-ვეს.

ნაციონალიზმისა და გენდერის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია ავტორის კომენტარის მომდევნო ნაწილი:

ყოველ შემთხვევაში უნდა აღვნიშნოთ, — პროექტის შემდგენელს დავიწყებია, რომ ასეთი განკერძოება წოდებათა, ასეთი განცალკევება ერთის ქვეყნის შვილთა, რომელთა ცხოვრება, ინტერესები, გრძნო-ბა, აზრი და მისწრაფება ურიცხვის სიმით არის გა-

დაბმული და გადახლართული დანაშთენთან, შეცდომა. ეს შეცდომა დაპგმო ძველ ერთა ისტორიამ და დაამტკოცა, რომ მხოლოდ ყველა წოდების კავშირი გაუძლებს განათლების და ხალხის დაწინაურების დამაპრკოლებელ მიზეზებს. უმთავრესი და, იქნება ერთად-ერთი გარემოება, რომლის წყალობითაც დაიღუპნენ და აღიგვნენ დედამიწის ზურგითგან მრავალნი ძლიერი და სახელოვანი ერნი, — იყო უთანხმოება და განსხვავება წოდებათა შორის.

როგორც ვხედავთ, ილია ამ პრობლემას ჭვრეტს არა მხოლოდ სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის, არამედ პოლიტიკურ ჭრილში. აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ მის მიერ გაკეთებულ აქცენტებს ერის მთლიანობაზე:

ერთის ქვეყნის შვილთა, რომელთა ცხოვრება, ინტერესები, გრძნობა, აზრი და მისწრაფება (ხაზი ჩვენია — ზ. კ.) ურიცხვის სიმით არის გადაბმული და გადახლართული.

თავის დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი მეტი სიმძაფრით გადმოსცემს შემდეგი სიტყვებით:

ჩვენ, ისეც დაქსაქსულთა, ერთმანეთთან გადამტერებულთა რაღა წოდებრივის საგნების წამოსაყენებლად უნდა გვეცალოს!

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა დავიმოწმოთ ე. სმითი, რომელიც აცხადებს: „ნაციონალისტი არ მოითხოვს, რომ ყველა წევრი ერთნაირი იყოს, არამედ მხოლოდ იმას, რომ მათ შეიგრძნონ სოლიდარობის მძლავრი ჯაჭვის არსებობა და ამის გამო, ნაციონალურად მნიშვნელოვან ყველა საქმესთან დაკავშირებით, შეთანხმებულად იმოქმედობ“ (სმითი, 2004, გვ. 53). გარდა იმისა, რომ ილიას პოზიცია ამ განმარტებას სრულად შეესაბამება, მასთან თვალსაჩინოა გენდერული და წოდებრივი განსხვავებების სოციალური ბუნების აღიარება. ზემოთ ციტირებული სტატია არ წარმოადგენს ერთადერთ ნაწარმოებს, სადაც ენობრივი და გენდერუ-

ლი პრობლემატიკა წარმოჩენილია ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესის კონტექსტში. ილიას მსჯელობა ამ საკითხების შესახებ არა მხოლოდ ისტორიულად ეხმაურება შესაბამისი დარგის თანამედროვე მიღწევებს, არა-მედ გარკვეული წვლილის შეტანაც კი შეუძლია მათში როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი თვალსაზრისით.

## “დედათა საქმის” ნაციონალისტური განზომილებები

როგორც წესი, ეროვნული იდენტობის წრთობის პროცესი მოითხოვს უნიკალური ნაციონალური იდენტობის ხელახალ აღმოჩენასა და განახლებას. ამ პროცესის თავისებურებათა უფრო დაკონკრეტებულ ფორმულირებას გვაწვდის ე. დ. სმითი: “ნაცია, როგორც კულტურის ფორმა, ის ერთობაა, რომლის წევრებსაც გაცნობიერებული აქვთ თავიანთი კულტურული ერთიანობა და ნაციონალური ისტორია და თავდადებით იღვწიან ვერნაცულური ენების, ტრადიციების, ხელოვნების დარგების, ლანდმაფტის, ნაციონალური განათლებისა და ინსტიტუციების მეშვეობით ნაციონალური ინდივიდუალობის განვითარებისათვის” (სმითი 2004, გვ. 62). წინამდებარე ციტატაში პოვნიერი ფორმულირება ნამდვილად არ წარმოადგენს ისეთ განცხადებას, რომელიც შეიძლება ძირფესვიან რედაქტირებას დაექვემდებაროს თუნდაც ამ საკითხში რადიკალურად დაპირისპირებული სხვა ავტორების მხრიდან. მიუხედავად ამისა, თავის ხსენებულ ნაშრომში ე. სმითი მაინც სვამს შემდეგ კითხვას: “არიან თუ არა ნაციები ნაციონალისტი ინტელიგენციების მიერ *de novo* შექმნილი ან რეკონსტრუქტურიზაციის არსებული კულტურული ‘მასალისა’ და ეთნიკური სენტიმენტების გარეშე” (იქვე, გვ. 119). ჩვენი აზრით, ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ნაკლებად ეფექტური იქნება უნივერსალური ხასიათის მქონე ფორმულების ძიება, რადგანაც სხვადასხვა ნაციასთან დაკავშირებით უმეტეს შემთხვევაში საქმე გვაქვს განსხვავებულ ვითარებასთან.

ე. დ. სმითის ზემომოყვანილ ციტატაში უკვე ნახსენები იყო განათლების ფაქტორი აღნიშნულ პროცესში და ჩვენც კონცენტრირებას ძირითადად სწორედ წერა-კითხვის ცოდნის, წიგნიერების, განათლების ასპექტებზე გავაკეთებთ მასში გენდერულ შემადგენელზე ყურადღების გამახვილების გზით, ამ მიზნით ყურადღებას შევაჩირებთ “ივერიაში” გამოქვეყნებულ ზოგიერთ პუბლიკაციაზე, რომლებიც სწორედ აღნიშნულ პრობლემატიკას ეხება.

1889 წლის 4 მარტს “ივერიაში” დაიბეჭდა “ქართველი ქალის” წერილი სათაურით “საყურადღებოდ”, რომელშიც წამოყენებულია ქალთათვის განათლების ხელმისაწვდომობის, კერძოდ, მანდილოსნებისათვის სკოლის გახსნის საკითხი. ავტორი წერს:

უთუოდ იტყვით, მკითხველო, რომ ამ-გვარ სკოლას დიდი-ძალი ფული მოუნდება. მაგრამ, ბატონებო, თქვენის დახმარებით და ჩვენის მეცადინეობით იქნება ეს აზრი საქმედ ვაქციოთ. უეჭველია, საქართველოს ყველა კუთხითგან გამოგვეხმაურებიან, ხელს მოგვაწვდენენ, აღმოგვიჩენენ შემწეობას და ამითი გაგვამხნევებენ და შეგვიმსუბუქებენ იმ ტვირთს, რომელიც ჩვენ ვიდეთ კისრად.

ლირსსაცნობია, რომ პირველად სწორედ ილია ჭავჭავაძე გამოხმაურა აღნიშნულ წერილს. თავის სტატიაში “დედათა საქმის გამო” (6 მარტი, 1889) იგი უაღრესად დადებითი ემოციებით ეხმაურება მანდილოსანთა ამ თაოსნობას:

ჩვენ ამ წერილისა ის გვიხარიან, რომ ჩვენს ქალებს თავის-თავის შველა მოუწადინებიათ და სათავედ დაუდვიათ საკუთარი მხნეობა, საკუთარი მეცადინეობა. უკეთესს სახსარს, უკეთესს ღონეს სხვას ვერსა იპოვიან, თუ მართლა ჰსურთ საქმის გაკეთება და არა ტყუილუბრალო წივილ-კივილი. ჩვენ ეს ამბავი სიხარულით შეგვაქვს ჩვენს მატიანეში და მივულოცავთ ჩვენს ქალებს, რომ ჭეშმარიტს გზას დასდგომიან თავიანთი სვე-ბედის გასასწორებლად.

თუ მხოლოდ ამ პასაჟის მიხედვით ვიმსჯელებთ, შესაძლოა გაჩნდეს შთაბეჭდილება, რომ ილია ტრადიციულად დადებითად ეხმაურება კარგ წამოწყებას (კერძოდ, გენდერული ბალანსის მიღწევის მცდელობას განათლების საქმეში), სოლიდარულია მანდილოსნების მიმართ და სხვა არაფერი. საინტერესოა, რომ ზოგიერთ თანამედროვე ავტორთან ილიას ნაწერები “დედათა საქმის” თაობზე მეტისმეტად პრიმიტიულად არის წარმოდგენილი. ამგვარი მიღვომის თვალსაჩინო მაგალითად უ. ობოლაძის ერთი ნაშრომი გამოდგება. მოგვყავს რამდენიმე ციტატა: “ნუთუ შეიძლებოდა მომავლისადმი ასე ღრმად დაუცხრომელი რწმენით ყოფილიყო გამსჭვალული კაცი, რომლის ქვეყანას მთლიანად წაართვეს დამოუკიდებლობა და ართმევდნენ დედაენასაც და, მაშასადამე, გვარის გაგრძელების უმთავრეს ნიჭს? როგორც ჩანს, შეიძლებოდა, თუ ეს კაცი ილიასთანა ბუმბერაზი იქნებოდა და თუ იგი დაემყარებოდა ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვან სულიერ მემკვიდრეობას და მას უნარიანად შეუხამებდა კაცობრიულ წიაღში ისტორიის მიერ გაკვალულ სამომავლო ამოცანებს. ეს შეძლო ილიამ და სამოციანელობამ. ხალხმაც თანდათანობით ქალაქად და სოფლადაც, მთაშიც და ბარშიაც გაიგო, მიიღო ეს ახალი განაწესი, თავის მხრივ ამ წიადაგზე აღორძინებულმა ჩვენმა ოჯახურმა კერამ, სახალხო სკოლამ, საზოგადოებრივ-მორალურმა გარემოებათა თანწყობამ შექმნეს საიმისო პირობები, რათა ჩვენს მხატვრულ ლიტერატურასა და მებრძოლ პუბლიცისტიკას მტკიცედ გაეკაფა გზა ქართველი ხალხის გაერთიანებისაკენ — ის გზა, უცხოურად კონსოლიდაციას რომ ეძახიან და რომლის გარეშე ერი ვერ ერობს, დედაშვილობის მადლით ვერ იკვებება და ხალხის მომავალი გადაგვარების მწვავე საფრთხეს მკერდით წინ ვერ ეღობება” (ობოლაძე 1990, გვ. 99-100); “ილიას და მთელი სამოციანელების აზრით, ყოველ ქვეყანასა და ყოველ ხალხს დედაშვილობის თავ-თავისი საკუთარი სხეული და სული აქვს, ისევე როგორც ყოველ დედას საკუთარი შვილი ყავს და ყოველ შვილს საკუთარი დედა. აქვე აუცილებელია განვმარტოთ, რომ ეს საკუთარი სული არ ნიშნავს განსაკუთრებულსა და სხვათა მჯობნს. გონიეროვი თუ ზნეოპრივი მოწიფულობით, რწმენით თუ სხვა ადამიანური თვისებებით ერთი ხალხი, რასაკვირველია, განსხვავდება მეორისაგან,

მაგრამ ეს გამოწვეულია არა კაცთა ფერით, ანდა თავის ქალის მოყვანილობით, არამედ სრულფასოვანი ისტორიული გამოცდილების მეტნაკლებობით. ეს თვისებები თავისთავად არ შეიძლება იწვევდეს ერთა შორის უპირატესობის წარმოქმნას” (იქვე, გვ. 100).

ციტირებულ სენტენციათა საპირისპიროდ, ილია არ კმაყოფილდება ბიოლოგიურ მოცემულობათა შეფასება-და-ფასებით და საკითხს მისთვის დამახასიათებელ მასშტაბურობას სძენს. იმავე სტატიაში არა მხოლოდ ინონებს თაოსნობას, არამედ ტონსაც კი უქებს “ქართველ ქალს” (ანუ წერილის ავტორს):

ამ წერილში არ არის ის უკბილო საყვედური და უქმი ჩივილი, რომ აი, თქვე გულევაი კაცებო, რატომ თქვენს უფლებას ჩვენც არ გაგვინაზილებთო? რატომ იმისთანა თავისუფლებას ჩვენც არ გვაძლევთ, რომელიც თქვენ ასე ტკბილად გატარებინებთ თქვენს სიცოცხლესაო და სხვა ამისთანა? არც ის უთავბოლო ფრაზებია იმაზედ თუ, — დედაკაცს ქვეყანაზედ მარტო სამი “უწმინდაესი, უსამღვთოესი დანიშნულება” აქვსო: დედობა, ცოლობა და დობა, თითქოს ყველაზე უწინარეს იგი იმავე ადამიანად არ იყოს გაჩერილი, როგორც მამაკაცი და, მაშასადამე, მინამ დედობას, ცოლობას, დობას იკისრებდეს, ყველაზე უწინარეს იგივე ადამიანობა არ მოეთხოვებოდეს, როგორც მამაკაცს.

თავისთავად ცხადია, რომ ამ სიტყვებით ილია ეხმაურება ზოგიერთ თავის თანამედროვეს, რომელთათვისაც მიუღებელი გახლდათ ქალების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და, მათ შორის, განათლებაშიც. იგი იქვე აგრძელებს და ფაქტობრივად მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის გენდეროლოგიური დისკურსისათვის დამახასიათებელი სტილით საუბრობს:

დედობა, ცოლობა და დობა დიდი საქმე არ არის. ეს ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი გარემოებისა. საქმე კაი დედაკაცობაა, კაი ადამიანობაა, ანუ, უკეთ

ვსთქვათ, კაი კაცობაა და მერე დედობა, მამობა, ქმრობა, ცოლობა და სხვ.

აქ ფაქტობრივად გარჩეულია ერთმანეთისაგან სქესისა და გენდერის ცნებები. პასაჟის შემდგომი ნაწილიც ლირ-სსაცნობია ამ მხრივ:

კაცს დედობის, ქმრობის და სხვა ამისთანის გარდა კიდევ სხვა ბევრი მოვალეობა ანევს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე და ყველაზედ უწინარეს ამ მოვალეობას უნდა გაუძლვეს, მამაკაცია, თუ დედაკაცი. ამას მარტო კაი-კაცობა შესძლებს. ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად არც სხვად რადმე, იმიტომ რომ მამობა და დედობა ადა-მიანური, მარტო შვილების გამრავლება და ძუძუს წოება არ არის.

ასევე საკმაოდ ნიშანდობლივია, რომ შემდეგ აბზაცში ილია ასეთ დაპირებას გვაძლევს:

ჩვენ ეს, ამხანად გამოთქმული, აზრი იქნება ოდესმე უფრო ვრცლად გავარკვიოთ.

მიუხედავად ციტირებული პასაჟის მეტ-ნაკლები სი-დიდისა, ჩვენთვის მაინც საკმარისად ცხადია, რომ განათლე-ბისადმი ავტორს არადისკრიმინაციული მიდგომა აქვს თავი-სი ზოგიერთი თანამედროვისაგან განსხვავებით. და მაინც, ისიც ცნობილია, რომ კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში მამაკაცები, შეიძლება ითქვას, ჯიქურ ეწინააღ-მდეგბოდნენ ქალთა ჩართულობას განათლებისა და წიგნიე-რების საკითხში. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ისინი არა მარტო ეწინააღმდეგებოდნენ და ხელს არ უწყობდნენ, არა-მედ უკვე არსებული გამოცდილების მიჩქმალვასაც კი ცდი-ლან ზოგჯერ. ამის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგა-ლითს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ თავის დროზე არსებულა შუმერში ძველი წელთაღრიცხვის მე-3 ათასწლეულში დაარ-სებული საერთაშორისო საიდუმლო საძმო, რომლის მიზანიც გახლდათ მსოფლიოს პირველი პოეტი ქალის ენპედუანას გავლენის წინააღმდეგ ბრძოლა, რადგანაც მის ნაწარმოე-

ბებში ჩანს ქალღვთაების ინანას კულტის უპირატესობა (მილერი და სვიფტი 2000, გვ. 91-92). მსგავსი მაგალითების დამოწმება უხვად შეიძლება. “ივერიის” ფურცლებზე ქალთა არჩართულობის თაობაზე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით ერთხელ უკვე გვქონდა საუბარი ზემოთ. და მაინც, რადგანაც ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესი მოცემული ნაციისათვის უნიკალური ნიშან-თვისებების ძიება-რეკონსტრუირებასაც გულისხმობს, ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ ქალთა წიგნიერების ისტორიულ ასპექტსაც.

ტრადიციულად ამ თემაზე საუბრისას ავტორები მიუთითებენ ქართველ ქალთა აქტიური ჩართულობის შესახებ. მე-17 საუკუნის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი იმასაც კი ამბობს, რომ, ქალები რომ არა, ქართული მწიგნობრობა გაქრებოდა (ლამბერტი 1938, გვ. 164). რეალურად არსებული ვითარების არსს რომ ჩავრცვდეთ, უნდა მივმართოთ ერთ ნაშრომს, რომელიც ქართველ მწიგნობარ ქალებს ეძლვნება; ნაშრომის ავტორი ბრძანებს: “მოპოვებული მასალა ძირითადად ეხება ფეოდალურ საქართველოს, შემოისაზღვრება XII საუკუნიდან XIX საუკუნის 60-იანი წლებით და უმთავრესად მაღალი არის სტოკრატიული წრის ქალთა მოღვაწეობას ეხება” (ქაფიაშვილი 1985, გვ. 47). გამოდის, რომ წიგნიერებისა და განათლების საქმეში ჩართულობა/არჩართულობას არა გეხდერული, არამედ კლასობრივი ფაქტორები განაპირობებდა.

როგორც ჩანს, ილია ამ მხრივ არ გულისხმობს არც კლასობრივსა და არც გენდერულ მიკერძოებას; მისთვის მთავარი გახლდათ როგორც განათლების საკითხი, როგორც ფაქტორი ერის ცხოვრებაში, რადგანაც განათლება, მიუხედავად იმისა, ნაციონალისტური იქნება თუ არა, საბოლოოდ მაინც ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესისათვის სასარგებლო პროდუქტის მომცემია. რაც შეეხება ე. დ. სმითის მიერ დასმულ შეკითხვას (“არიან თუ არა ნაციები ნაციონალისტი ინტელიგენციების მიერ *de novo* შექმნილნი ან რეკონსტრუირებულნი არსებული კულტურული ‘მასალისა’ და ეთნიკური სენტიმენტების გარეშე”), უკვე (ცხადად ჩანს, რომ პასუხი უარყოფითია, თუმცა ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ილია ამგვარი სენტიმენტების არათუ რეკონსტრუირებას, არამედ გენერირებასაც კი ახდენდა.

## **ილია ჭავჭავაძის “პატარა საუბარი” და მისი დიდი და ფართო პორტორენტები**

### **ენობრივი მსოფლხედვა და იდეალიზებული კოგნიტიური მოდელები**

როდესაც ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიის, შესახებ მსჯელობენ, როგორც წესი, გამოყოფენ ბირთვული დოქტრინიდან მომდინარე სამ ფუნდამენტურ იდეალს; „სწორედ ისინი აცხოველებენ ნაციონალიზმის იდეოლოგიურ მოძრაობას. ესენია: ნაციონალური ავტონომიურობა, ნაციონალური ერთიანობა და ნაციონალური იდენტობა. ასე თუ ისე, ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიური მოძრაობის, სპეციფიკური ამოცანები ამ სამი იდეალის ვარიანტებს წარმოადგენს, და ამიტომაა, რომ ისინი ასე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნაციონალიზმის ჩემს მიერ ადრე წარმოდგენილ სამუშაო განმარტებაში, რომლის მიხედვითაც ეს ავტონომიურობის, ერთიანობისა და იდენტობის მიღწევაზე ორიენტირებული იდეოლოგიური მოძრაობაა იმ საზოგადოების შიგნით, რომლის ზოგიერთ წევრსაც მიაჩნია, რომ იგი რეალურად არსებულ ან პოტენციურ ‘ნაციას’ განეკუთვნება“ (სმითი, 2004, გვ. 50-51). ეროვნული იდენტობის წრთობის პროცესი აუცილებლად გულისხმობს ენობრივ კომპონენტს და მასთან დაკავშირებულ მრავალფეროვან საკითხთა ფართო სპექტრს. როდესაც ენობრივი იდენტობის თემაზე საუბრობენ, ხშირად აღინიშნება, რომ ამ იდენტობის მიღწევისათვის საჭიროა იმის მტკიცება, რომ მოცემული საზოგადოება სხვებისაგან განსხვავებულ ენაზე მეტყველებს. ზოგჯერ ისეთ ქმედებებსაც კი ვაწყდებით, როდესაც განსხვავებების ხელოვნურად გენერირებას ცდილობენ (ყველაზე თვალსაჩინო შემთხვევებს ენისათვის დამწერლობისა და ლინგვონიმის შეცვლა წარმოადგენს). თუმცა, თუ მართლაც თავისთავად

განსხვავებულ ენებთან გვაქვს საქმე, მაშინ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რასაც თავის დროზე ხაზგასმით აღნიშნავდა ვილპელმ ფონ ჰუმბოლდტი: „სხვადასხვა ენა მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რომ ერთი და იგივე საგანი ან მოვლენა სხვადასხვა სიტყვით აღნიშნო, სხვადასხვა ენა სამყაროს განსხვავებული მსოფლხედვაა“ (ჰუმბოლდტი, 1984, გვ. 304).

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ასევე ვეცდებით სწორედ ამგვარი განსხვავებები დავაფიქსიროთ და მათი ანალიზიც მოვახდინოთ. წყაროდ აღებული გვაქვს ილია ჭავჭავაძის სტატია „პატარა საუბარი“, რომელშიც ავტორი ქალთა აღმნიშვნელი ლექსიკის ისეთ საკითხებს ეხება, რაც დღესაც აქტუალურია გენდერულ კვლევებსა და კოგნიტიურ ლინგვისტიკაში. მსჯელობის თანამიმდევრობის დასაცავად თავ-დაპირველად მოვიყვანოთ ერთი ციტატა აღნიშნული სტატიიდან:

ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიაო, უთქვამს რუსთაველს. ლომი ლომია, ერთია, — ძუ იყოს, თუნდა ხვადიაო, ამბობს დღესაც გლეხკაცი. მართალია, სწორია, ერთია. ამასა ჰმონმობს ჩვენი ქართული ენაც და ენა ხომ ერთობ იმისთანა რამ არის, რომ მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც კაცი ჩასძახებს. ქართველი დედასაც კაცად ჰხადის და ამიტომ „დედა-კაცს“ ეძახის, როგორც მამას — „მამა-კაცს“. განსხვავება მარტო იმაშია, რომ თქვებ ერთის სქესისანი ხართ, და ჩვენ მეორისანი, თქვენ დედობითა ხართ კაცნი და ჩვენ მამობით. არსება-კი ერთია, ორნივ კაცნი ვართ, ორნივ ღვთის სახისა, და მსგავსებისანი. ასე შეუნახავს დიდი ლირსება დედისა ჩვენს ენას. არა გვგონია, რომელსამე სხვა ენაში დედაცა და მამაც ერთნაირად კაცად წოდებული იყოს (ხაზი ჩვენია — ზ. კ.).

როგორც ვხედავთ, ავტორი სწორედ ისეთ განსხვავებაზე საუბრობს, რომელიც გამორჩეულ მსოფლხედვას წარმოაჩენს; დღის წესრიგში დგება ენაში არსებული მიმართებების საშუალებით სამყაროს კატეგორიზაციის პრობლემა:

აშკარაა, კაცობა დედათა ისეთივე საპატიო და დიდი სახელია ქართველის აზრით, როგორც კაცობა ერთობ ადამიანისა. დედაც კაციაო, გვეუბნება ჩვენი ენა, და მამაცაო.

ენობრივი და მსოფლმხედველობითი გამორჩეულობის თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად ილია უფრო შორს მიღის და ამგვარი კატეგორიზაციის მოშლის სავალალოობასაც აღნიშნავს; ნიშანდობილია ისიც, რომ მეტი სიმძაფრისათვის ავტორი ენობრივ შეპირისპირებასაც მიმართავს:

ეხლა დედაკაცად თქვენი ხსენება საწყენია, სათაკილოა. ეს დიდი სახელი დაიფუყა, შეიკუმშა, დადნა. საგანი დადნა, დადნა სახელიცა. დღეს დედა დედაკაცი კი არ არის, ქალია. [...] დღეს „დედაკაცი“ მდაბიოთა სახელი-ლაა, თითქო „კაცი-დედა“ მარტო მათ-ლა შერჩენიათ. დღეს „დედაკაცი“ რომ ან თავადის, ან აზნაურის ქალს, ან ერთობ „შლიაპოსანს“ უწოდოთ, გინყენთ, იუკადრისებს, ითაკილებს: მე ქალი ვარ და არა დედაკაციონ“, თითქო ქართული „დედაკაცი“ და რუსული „ნანა“ ერთი და იგივე იყოს.

სწორედ ამ საკითხებზე საუბრისას ილია არგუმენტად იშველიებს ქართული ენობრივი მსოფლმხედვისათვის დამახსასიათებელ კიდევ ერთ მნიშვნელოვან რეალიას:

ქართველებისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ლვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს — „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას — „დედაბოძს“, უდიდესსა და უმაგრეს ბურჯეს — „დედა-ბურჯეს“, სამთავრო აზრს — „დედა-აზრს“. გუთნის გამგებელ მამაკაცსაც-კი — „გუთნის-დედას“.

ეს ის პასაუია, სადაც ილია ჭავჭავაძე ისეთ პრობლემატიკას წარმოაყენებს, არც თანამედროვე კოგნიტიური ლინგვისტიკისა და გენდერული კვლევებისათვის არსებითზე

არსებითია. ჩვენ სწორედ ამ ორი, შედარებით ახალი სამეცნიერო დარგის მიღწევების გათვალისწინებით უნდა განვიხილოთ აღნიშნული საკითხი.

## ენა და კატეგორიზაცია

უკვე საკმაოზე დიდი ხანია, რაც აღიარებულია ის ფაქტი, რომ ენა არის აზრის წარმომქმნელი (ანუ კოგნიტიური) მოვლენა, ასევე აღიარებულია ენის, როგორც აზროვნების საშუალების, პრიორიტეტული როლი როგორც ენათმეცნიერების, ასევე ფილოსოფოსებისა და ფსიქოლოგების მიერ (შდრ. მაგ., ჰეგელი, 1977). მიუხედავად ამისა, ე.წ. „კოგნიტიური ლინგვისტიკა“ მხოლოდ მეოცე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის პირმშოა. რატომ „ეგრეთ წოდებული“? თუკი „კოგნიტიური“ გაიგება როგორც ის, რაც „აყალიბებს ცოდნასა და მის შეძენასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ პროცესებს“, მაშინ ნ. ჩიმესკის წარმომშობ-ტრანსფორმაციული მოძლვრებაც, როგორც საკუთრივ ენობრივი ცოდნის თეორია, გარკვეულწილად კოგნიტიურად შეიძლება ჩაითვალოს. არადა, როგორც ცნობილია, გენერატივიზმს იმ დოზით ახასიათებს ფორმალიზმი, რომ იგი ზოგჯერ ნაკლებად ტოვებს ბუნებრივი ენისათვის შექმნილი თეორიის შთაბეჭდილებას.

კოგნიტიური ლინგვისტიკის ძირითად პრინციპებად შეძლება ჩაითვალოს შემდეგი: 1) ენის ცოდნა ადამიანის ცოდნის არა ავტონომიური „ნაკვეთი“ ან „მოდულია“, არა-მედ მისი (ამ ცოდნის) განუყოფელი ნაწილი, რის გამოც ენათმეცნიერებამ ენობრივ მოვლენათა ახსნა უნდა შეუხამოს იმას, რაც ცნობილია გონებისა და ტვინის შესახებ სხვა დისციპლინებიდან: ფილოსოფიდან, ფსიქოლოგიდან, ნიეროფიზიოლოგიდან, ხელოვნური ინტელექტის თეორიებიდან; 2) ენა ასახავს ურთიერთექმედებას ფსიქოლოგიურ, საკომუნიკაციო, ფუნქციურ და კულტურულ ფაქტორებს შორის.

რაც მთავარია, კოგნიტიური ლინგვისტიკა უპირისპირდება გენერატივიზმის მინიმალისტურ, რედუქციონისტულ და „დამავალ“ (დედუქციურ) მიდგომას. ცნობილია, რომ

ჩომსკიანელთა (და არა მარტო მათი) მინიმალიზმი ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში დაწყებულმა კამათმა ენობრივი ნიშნის ბუნების შესახებ ჩვენს დრომდე მოაღწია და მოპაექ-რე მხარეები რადიკალიზმსაც კი არ მორიდებიან საკუთარი თვალსაზრისების დასასაბუთებლად, დაპირისპირებულ პოზიციათა წარმომადგენლები საოცარ ერთსულოვნებას ამ-უდავნებენ იმ დებულებასთან დამოკიდებულებაში, რომლის მიხედვითაც ენა არის ნიშანთა სისტემა. სამწუხაროდ, აღ-ნიშნული დებულება ხშირად, სხვათა შორის, სახელმძღვანე-ლოებშიც კი, აქსომატურად იყო წარმოდგენილი. ნიშანთა სისტემიდან ამოსვლით განსაზღვრავდნენ ეთნოგრაფიას, მოდას, მხატვრულ ლიტერატურას, კინეს, საერთოდ, კულ-ტურასა და ხელოვნებას. ამავე სიბრტყეზე განიხილებოდა ენაც. ეს ყველაფერი, როგორც პროცესის, ასევე შედეგების თვალსაზრისით, ძალიან ჰგავდა კარგად დავიწყებულ მო-საზრებებს ენის ზედნაშენური ბუნების შესახებ. აქ ჩვენ უნ-და დავიმოწმოთ ბესარიონ ჯორბენაძის გამონათქვამი იმის თაობაზე, რომ ენა არ არის ნიშანთა სისტემა, ენა მხოლოდ იყენებს მას (ჯორბენაძე, 1997, გვ. 20).

მეოცე საუკუნის ბოლოს კოგნიტიურმა ლინგვისტიკამ საშუალება მოგვცა, რომ ნათლად დაგვენახა და ხელშესახე-ბად გვეგრძნო ენობრივი ნიშნის (ალბათ, უფრო სწორი იქნე-ბოდა, თუ ვიტყოდით ასე: ენის ერთეულთა) ადამიანური გან-ზომილებანი. მისივე დამსახურება არის ის, რომ კვლავ და კვლავ (ამჯერად, ალბათ, საპოლოოდ) ალიარეს ენის ქმედი-თი როლი ადამიანის კულტურასა და საზოგადოებაში. რო-დესაც ენის ქმედით როლზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვ-ლისა ვგულისხმობთ სინამდვილის ენობრივი კონცეფციის არსებობას, რაც გაზიარებულია პოსტმოდერნისტული აზ-როვნების თითქმის ყველა მიმდინარეობის მიერ. მოცემული დებულებით ისინი ამტკიცებენ, რომ ის, რასაც ჩვენ სინამ-დვილედ აღვიქვამთ, წარმოადგენს ჩვენ მიერ მეტკვიდრეო-ბით მიღებული ლინგვისტური სისტემის შედეგს. ამ გზას კი მივყავართ იმ თეზისამდე, რომ ინდივიდის ცნობიერება ემ-ყარება მისივე მშობლიური ენის კონცეპტუალურ თავისებუ-რებს. ენა წარმოადგენს ასპარეზს, სადაც გასაქანს პოუ-ლობს ამ ენაზე მოლაპარაკე ერის სოციო-კულტურულ ერ-

თობაში არსებული მენტალური სივრცეებისათვის დამახასიათებელი ყველაზე რელევანტური თავისებურებანი. რა თქმა უნდა, ამ ასპარეზზე ამომწურავად ვერ წარმოჩნდება ამ სოციო-კულტურული ერთობის წევრთა კოგნიტიური სამყარო, მაგრამ ფაქტია ის, რომ ენობრივ-ეროვნული სპეციფიკა ნამდვილად აისახება. ლირსსაცნობია შემდეგი გარემოება: თავდაპირველად კოგნიტიური ლინგვისტიკა სულაც არ იყო მონიდებული იმისათვის, რომ ცალკეულ ენათა და კულტურათა დამახასიათებელი თავისებურებები წარმოეჩინა. მაგრამ ზოგადი და საყოველთაო ნიშან-თვისებების ძიებისას სპეციალისტები ლოგიკურად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა სწორედ ცალკეულ ენათა და კულტურათა სპეციფიკის შესწავლა და მათი შედარება. სწორედ ამ შედარების შედეგად აღიარეს, რომ, რადგანაც ბუნებრივი ენის კატეგორიები იმავე ტიპისაა, როგორც სხვა კატეგორიები ჩვენს კონცეპტუალურ სისტემაში, ხოლო მონაცემები ენობრივი კატეგორიების შესახებ ხელს შეგვინყობს, უკეთ ჩავწვდეთ კოგნიტიურ კატეგორიებს, მაშინ ცხადი ხდება ყოველი ენის, როგორც აზრების უნიკალური ორგანიზაციისა და მათი წარმოქმნის განსხვავებული წესების ერთობლიობათა, მნიშვნელობა (ლეიკოფი, 1987, გვ. 113).

კოგნიტიურ ლინგვისტიკაში მიღებულია ენის შემდეგი განმარტება: ესა გაიგება, როგორც „იმ რესურსების ერთობლიობა, რომელიც ხელმისაწვდომია ენის მომხმარებელთათვის აზრთა სიმბოლიზაციის განსახორციელებლად და ამ სიმბოლიზაციების ერთმანეთისათვის გადასაცემად. ენის ათვისება ამ რესურსებისაგან რეპერტუარის შექმნას ნიშნავს... ენის გამოყენება კი გულისხმობს მოცემულ შემთხვევაში საჭიროების მიხედვით ამ რესურსების შერჩევითს აქტივირებას“ (ტეილორი, 2003, გვ. 30). აუცილებელია შევნიშნოთ, რომ კოგნიტიური ლინგვისტიკა არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც რომელიმე ფსიქოლოგიური დისციპლინა, რომელიც ენის საკითხებითაც არის დაინტერესებული. ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტს ისევე აინტერესებს გრამატიკის, ფონოლოგიის, სემანტიკისა და მისთანა საკითხები, როგორც სხვა საენათმეცნიერო მიმდინარეობათა წარმომადგენლებს. კოგნიტიური ლინგვისტიკა სხვათაგან იმით განსხვავდება, რომ იგი არ კმაყოფილდება ენობრივი ფაქტების

უბრალო აღწერა-ფორმალიზებით, იგი ამ მასალას უხამებს და უკავშირებს ადამიანის შემეცნებითს შესაძლებლობებს. ამასთანავე, საგანგებოდ უნდა შევეხოთ კიდევ ერთ პრინციპულ განსხვავებას კოგნიტიურ და გენერატიულ მიდგომებს შორის. თავის დროზე ნ. ჩომსკი საკმაოდ პრეტენზიული ტონით საუპრობდა სემანტიკისაგან განყენებული სინტაქსის შესწავლის თაობაზე: „დიდი ძალისხმევა იხარჯება შემდეგ კითხვაზე პასუხის გასაცემად: ‘როგორ უნდა ავაგოთ გრამატიკა მნიშვნელობის გაუთვალისწინებლად?’ თავისი არსით კითხვა არასწორადა დასმული, რადგანაც ის მოსაზრება, რომ გრამატიკა უნდა ავაგოთ მნიშვნელობის გათვალისწინებით, სავსებით უსაფუძვლოა. მაშინ მსგავსადვე გამართლებული იქნება შემდეგი შეკითხვა: ‘როგორ ავაგოთ გრამატიკა, თუკი არ ვიცით მოლაპარაკეთა თმის ფერი?’ კითხვა შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: ‘როგორ ავაგოთ გრამატიკა?’“ (ჩომსკი, 1957, გვ. 93). ავტორის ეს გამონათქვამი არ გამორიცხავს სემანტიკის სერიოზულ, მეცნიერულ შესწავლას; მისთვის მთავარი იყო, რომ სინტაქსი გამოეკვლია მნიშვნელობისგან დამოუკიდებლად. მხოლოდ ამის შემდეგ მიიჩნევდა იგი შესაძლებლად სინტაქსისა და სემანტიკის შეხების წერტილების რკვევას. კოგნიტიურმა ლინგვისტიკამ უკუაგდო ამგვარი მიდგომა, გააქარწყლა ჩომსკიანელთა მიერ შექმნილი და ანგაუირებული მითი ე.წ. „უნივერსალური გრამატიკის“ არსებობის შესახებ და, რაც მთავარია, ძირითადი კვლევითი ვექტორი სწორედ მნიშვნელობისაკენ წარმართა: „ენის უპირველესი ფუნქცია მნიშვნელობის გადმოცემაა. ამიტომაც, გრამატიკამ რაც შეიძლება უშუალოდ უნდა გვიჩვენოს, როგორ უერთდება ფორმის პარამეტრები მნიშვნელობის პარამეტრებს“ (ლეიკოფი, 1987, გვ. 583). ამასთანავე, კოგნიტიურ ლინგვისტიკაში გაიზიარეს ენობრივი ფარდობითობის (სეპირ-უორფის ჰიპოთეზა) თეორიაში მიღებული დებულება, რომ დედაენა უყალიბებს ადამიანს განსაკუთრებულ მსოფლედვას, რომელიც განსხვავდება სხვა ენებზე მოლაპარაკეთა მსოფლედვისაგან. ამის დადასტურებაა ის, რომ აღიარებულია ზემოაღნიშნულ შემეცნებით შესაძლებლობათა პოვნიერება ენაშიც; ესენია: ა) კატეგორიზაცია; ბ) ფიგურებისა და ფონის ორგანიზაცია; გ) მენტალური წარმოდგენები; დ) მეტაფორა; ე) ცნებითი არქეტი-

პები; ვ) დანასკვი; ზ) ავტომატიზაცია; თ) დაგროვება და გამოთვლა, ჩამონათვალი და წესები; ი) ფოკუსირება ფორმაზე; კ) საზოგადოებრივი ქცევა; ლ) სიმბოლური ქცევა.

უნიკალური და სხვებისაგან განსხვავებული ენობრივი და კოგნიტიური თვისებების წარმოჩენის მიზნით ყურადღება გამახვილდა მეტაფორის ცნებაზე. საერთოდ, ენაში სიტყვის მთავარ ფუნქციად ნომინაციურობა მიიჩნევა. ნომინაციის, როგორც მოვლენის, ბუნებიდან გამომდინარე კი ჭირს მისი წარმოდგენა ოდენ შიგაენობრივ პროცესად; აյ ხომ უამრავი სოციო-კულტურული ფაქტორი იჩენს თავს. ამ მხრივაც თვალსაჩინოა განსხვავებები სხვადასხვა ენასა და, შესაბამისად, სხვადასხვა ენობრივ მსოფლხედვას შორის. კოგნიტიური დისკურსის გაძლიერებასა და ინტენსიფიკაციას ხელი შეუწყო მეტაფორის ცნების ჩამოყალიბებამაც. ტრადიციული შეხედულებით, „მეტაფორიზება სიტყვისა უფრო მხატვრული ენის თვისებაა“ (ლონონტი, 1988, გვ. 26). კოგნიტივისტები კი ამ საკითხს სრულიად განსხვავებულად უდგებიან: „უმრავლესობისათვის მეტაფორა პოეტური აზროვნების საშუალება და რიტორიკული მაღალფარდოვნებაა—უფრო ექსტრაორდინარული, ვიდრე ჩვეულებრივი ენის საგანი. უფრო მეტიც, მეტაფორა, როგორც წესი, განიხილება მხოლოდ ენის კუთვნილებად, უფრო სიტყვების და არა აზრებისა და ქმედების მახასიათებლად. ამის გამო მრავალ ადამიანს ჰქონია, რომ უმეტაფოროდაც იოლად გავლენ ფონს. ჩვენ დავინახეთ, რომ მეტაფორა შეაღწევს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, არა მარტო ენაში, არამედ აზრსა და ქმედებაშიც. ჩვენი ჩვეულებითი ცნებითი სისტემა, რომელზე დაყრდნობითაც ჩვენ კიდევაც ვაზროვნებთ და კიდევაც ვმოქმედებთ, თავიდან ბოლომდე მეტაფორულია თავისი არსით“ (ლეიკოფი და ჯონსონი, 1980, გვ. 3). რადგანაც ამ მეტაფორულობის თავისებურებათა გამოვლენის საუკეთესო საშუალება ენაა, ამიტომაც გამორჩეულ მნიშვნელობას ვანიჭებთ მოცემული ენისათვის დამახასიათებელი ცნებითი მეტაფორების წარმოჩენას. ნიშანდობლივია, რომ ყველაზე ნათლად სწორედ აქ აშკარავდება განსხვავებები სხვადასხვა ენობრივ მონაცემზე დამყარებულ ეროვნულ მსოფლხედვას შორის. შეიძლება დავუშვათ, რომ ზოგადად ნომინაციის კანონები და ლოგიკა, მათ შორის მეტაფორიზაციისა, როგორც

მეორეული ნომინაციური მოვლენისა, უნივერსალურია, მაგრამ კოგნიტიურმა ლინგვისტიკამ დაამტკიცა, რომ მეტაფორიზაციის პროცესი და შედეგები გამოირჩევა კერძო თავისებურებებით, უნიკალურობითაც კი.

## დედის აღმნიშნელი სიტყვები და მათი მსოფლხედვითი სპექტრი

კოგნიტიურ ლინგვისტიკაში შემუშავებულია პროცედურა, რომლის მიხედვითაც ამჯერად განზრახული გვაქვს ამ თავისებურებათა წარმოჩენა; იგი შემდეგია: საანალიზოდ ავიღეთ დედის აღმნიშვნელი სიტყვები ქართულსა და ინგლისურში; თავდაპირველად წარმოვადგენთ მის ძირითად მნიშვნელობას, ხოლო შემდეგ იმ გადატანით მნიშვნელობებსაც, რომელთა საფუძველზეც ამ ენებში შექმნილია (და იქმნება) შესაბამისი ცნებითი მეტაფორები. ამ გზით შევეცდებით გამოვავლინოთ ამ ცნების, როგორც პროტოტიპული სტრუქტურის, კოგნიტიური დიაპაზონის ჰორიზონტები ქართულ ენაში. იმისათვის რომ წარმოდგენილ მასალას უფრო მკაფიო გამოსახულება მივანიჭოთ, ქართული მაგალითების პარალელურად უცხოენოვანი მონაცემებიც იქნება გამოყენებული. ამის საჭიროებას ისიც ადასტურებს, რომ „მოცემული კულტურის ყველაზე არსებითი ლირებულებები უშუალო კავშირშია ყველაზე არსებითი ცნებების მეტაფორულ სტრუქტურასთან ენაში“ (ლეიკოფი და ჯონსონი, 1980, გვ. 22). რადგანაც საქმე მდედრის აღმნიშვნელ სიტყვას ეხება, სწორედ ამიტომ აქ გარკვეულ ინტერესებს ამჟღავნებს გენდერლინგვისტიკა. ტრადიციულად მიღებულია, რომ გარკვეული კულტურა ქმნის თავის სპეციფიკურ კონტექსტს და, ამგვარად, მის ფარგლებში შექმნილ ლირებულებებს ანიჭებს ენობრივ ერთეულებს. მაშასადამე, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ენისა და გენდერის ურთიერთქმედებაზე, როგორ წესი, არა ენა, არამედ კულტურა მიიჩნევა ვინაობის, სიტუაციების და ა.შ. შემეტნელად, რის შედეგადაც გვაქვს შესაბამისი კანონზომიერებები თუ თავისებურებები. აღნიშნული, რა

თქმა უნდა, სიმართლეს შეესაბამება, თუმცა არა სრულყოფილად (ზემოთქმულის დადასტურების მცდელობა უკვე ყოფილა სპეციალურ ლიტერატურაში; იხ. მაგ., ბინგი, 1991). ჩვენი აზრით, ცალკეულ ენასაც თავისი აგებულებითა თუ გამოყენების ყალიბებით ძალუს კულტურული თავისებურებების შექმნა-სახეცვალება. თავდაპირველად მოყვანილ თვალსაზრისს ადასტურებს ევრო-ამერიკულ გენდერლინგვისტიკაში შერჩეული ენობრივი მასალა და მათი ანალიზის საფუძველზე შემუშავებული მიდგომები და შეხედულებები, რომელთა მიხედვითაც, ათასნლეულების განმავლობაში არსებული პატრიარქალური წყობის გამო ენაშიც დამკვიდრდა გარკვეული მასკულინური სტერეოტიპები, რისი შედეგიცაა ქალთა უხილავობა ენაში და ერთგვარი ნეგატიური სემანტიკური სივრცე (იხ. მაგ., მილერი და სუიფტი, 1975). სწორედ ხსენებული მიდგომების „დამსახურებაა“, როგორც კოგნიტიურ ლინგვისტიკაში, ასევე ენისა და გენდერის კვლევაში ისეთი მოდელის ჩამოყალიბება, რომელიც ძირითადად ემყარება ევროპის ინდოევროპული ენებიდან აღებულ ემპირიულ მასალას, და რომელიც შემდეგ „კლასიფიკაციას“ გვაძლევს: „ქალები, როგორც მეორე სქესი“ და „ქალი, როგორც დედა და როგორც მეძავი“ (ლეიკოფი, 1987, გვ. 6). რაც უნდა მძიმედ აღსაქმელი იყოს მოყვანილი ფორმულა, იგი გამოყვანილია ზემოაღნიშნული ემპირიული მასალის კონკრეტული საანალიზო მეთოდებით გასინჯვის შედეგად.

ინგლისურენოვან კოგნიტიურ ლინგვისტიკაში დედის აღმნიშვნელი სიტყვა mother არაეთხელ გამხდარა კვლევის საგანი (ლეიკოფი, 1987). მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, საბოლოოდ დადგენილია, რომ ინგლისურში mother არის ცნება, რომელიც ემყარება რამდენიმე კოგნიტიურ მოდელს (ანუ ქარგას):

— მშობიარობის ქარგა: პიროვნება, ვინც შობს, არის დედა.

— გენეტიკური ქარგა: მდედრი, რომელიც იძლევა გენეტიკურ მასალას, არის დედა.

— საზრდოობის ქარგა: ზრდასრული მდედრი, რომელიც კვებავს და ზრდის ბავშვს, არის ამ ბავშვის დედა.

— ქორწინების ქარგა: მამის ცოლი არის დედა.

— გენეალოგიური ქარგა: უახლოესი წინაპარი ქალი არის დედა. (ლეიკოფი, 1987, გვ. 74).

ბუნებრივია, რომ, თუ ცნება mother მხოლოდ ზემოჩა- მოთვლილი ქარგებისაგან შედგება, ინგლისურენოვან საზო- გადოებებში მას ვერ გაუჩნდება სხვა პროტოტიპული ეფექ- ტი, თუ არა ისეთები, როგორებიცაა stepmother ‘დედინაცვა- ლი’, surrogate mother ‘სუროგატი დედა’, foster mother ‘დედო- ბილი’, biological mother ‘ბიოლოგიური დედა’, donor mother ‘დონორი დედა’ და მისთანები. გარკვეული მსგავსებები ქარ- თულსა და ინგლისურს შორის შეიძლება დაფიქსირდეს, თუმცა, ჩვენი აზრით, უფრო თვალშისაცემი და ღირსსაცნო- ბია ამ მხრივ არსებული განსხვავებები.

ამ განსხვავებათა წარმოსაჩენად ლექსიკოგრაფიული წყაროების მონაცემებს უნდა მივმართოთ. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულში დედა’ს დენო- ტაციური მნიშვნელობა შემდეგი სახითაა მოცემული:

„**დედა** (დედისა, ზოგჯერ დედასი) 1. ქალი თავისი შვილების მიმართ, — მშობელი (ქალი). კარგი შვილი დედის გულის ვარდიან (ანდაზა). მუნჯის ენა დედამ იცის (ანდაზა). [ფერებიდნელების] დედები, ცოლე- ბი, დები მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობენ (ი. გოგებ.). || ფიგურ. ვამაყობთ, ჩვენი სამშობლო დე- დაა შენი მშობელი (ა. მირცხ.).“ (ქეგლ, 1953, სვ. 1113).

შემდეგ მოცემულია რამდენიმე კონოტაცია:

„2. ძვ. ქალი, დედაკაცი. დედათა საქმე, რომელიც მონათლულია ქალების საქმედ, დღითი დღე წინ მი- დის (ილია). პრი დედანო, მარად ნეტარნო! (ნ. ბა- რათ.). 3. ზოგიერთი დედალი ფრინველი, ცხოველი ან მწერი თავისი შვილ ‘ებ’ის მიმართ. დედის წინ მარ- ბენალ კვიცს მგელი შეჭამს (ანდაზა). პანაზინა ჩი- როები დედასთან სიამოვნებით ატარებდნენ დროს ყანაში (ი. გოგებ.). ბატკანბა ჰკითხა დედასა: დედავ, რისთვისა ბლავიო? (შ. მლვიძ.). 4. იხმარება ნამატის მომცემი ან კიდევ შვილებიანი ზოგიერთი ცხოველი-

სა, ფრინველისა და მწერის მსაზღვრელად (ინერება ცალკე). დედა კატა. — დედა ვეფხვი. — დედა ჩიტი. — დაცარიელებულ უჯრას მუძა ფუტკრები წმენდენ და იქ დედა ფუტკარი ახალ კვერცხსა დებს (ი. გოგები). დაეძებს ბლავილით დედა ცხვარი ბატკანს, ბატკანი დედას (ვაჟა). დედა გუგულმა დაინახა, რომ მისი ბარტყები სხვა ფრინველების ბუდეებში ურიგოდ არ იზრდებიან (ი. გოგები). || გადასაწიდნი (ვაზი). იმ ვაზს, რომლის რქასაც გადააწვენდნენ, დედა ვაზი ეწოდებოდა (ივ. ჯავახი). 5. გამოხატავს ზოგიერთი არსებითი სახელის მდედრობით სქესს (ინერება ერთად). დედაკაცი. — დედაბერი“ (ქეგლ, 1953, სვ. 1113-1114).

ამას კი მოსდევს შემდეგი გადატანითი მნიშვნელობები:

„6. გადატ. რაც რისამე წყაროა, რაც დასაბამის, სიცოცხლის მომცემია, — რისამე საფუძველი, წარმომშობი, სათავე, საწყისი. განმეორება დედაა ცოდნისა. — სიზარმაცე და უსაქმეურობა დედაა ყოველგვარი უბედურებისამ (ხალხ.). 7. გადატ. მთავარი, ძირითადი (ინერება ერთად). დედააზრი. — დედაბოძი. — დედაქალაქი“ (ქეგლ, 1953, სვ. 1114).

სწორედ ის ფაქტი, რომ სიტყვით დედა ქართულში შესაძლებელია ზემომოყვანილი (ვგულისხმობთ პოლო ორს) მნიშვნელობების (და ეს მნიშვნელობები არც დენოტაციაში შედის და არც კონოტაციაში) გადმოცემა, არის საფუძველი ამ ცნების კოგნიტიური დიაპაზონისა, რაც საცნაური ხდება შემდეგი ცნებითი მეტაფორების საშუალებით:

(1) **დედააზრი „ნიგნ. ძირითადი, მთავარი აზრი. ვისაც სურს ამირანის თქმულების ... დედააზრი წარმოიდგინოს, მან უნდა შეისწავლოს შედარებით ყველა ქართული თქმულება (ივ. ჯავახი). || სახელმძღვანელო აზრი, შეხედულება, მოსაზრება. ჩვენი დედააზრი ეს არის: ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ და ჰარ-**

მონიულად შევისწავლოთ (ილია)“ (ქეგლ, 1953, სვ. 1115-1116).

(2) **დედაარსი „ნიგნ. მთავარი არსი, არსებითი მხარე; ბუნება, რაობა“** (ქეგლ, 1953, სვ. 1116).

(3) **დედაბოძი „1. ძველი ქართული სახლის — დარბაზის — მთავარი ბოძი, დგას შუაში, მთელი სახურავი მასზეა დაყრდობილი; თავთან ერდოა (სათვალე), დაბლა-კი კერაა (ჩვეულებრივ, საგანგებოდ დაჭრელებულია: ზედ გამოსახულია მზე, მთვარე და სხვა; მიკრული აქვს კაჩო ან ირმის რქა საოჯახო ნივთბის დასაკიდებლად. თუ სახლში უფროსი არა გყავდეს, დედაბოძს დაეკითხეო (ანდაზა). ვისაც სახლი არ აუშენებია, დედაბოძი მინიდან ჰქონია ამოსულით (ანდაზა). ქართველი ... ეძახის ... მკვიდრსა და დიდ ბოძს სახლისას «დედაბოძს» (ილია). 2. ნიგნ. გადატ. (რისამე) საფუძველი, მთავარი საყრდენი, ქვაკუთხედი. ||| ღერძი, მამოძრავებელი ძალა. კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია (ილია)“ (ქეგლ, 1953, სვ. 1116).**

„დასაყრდენი, დასამაგრებელი, ძალა, შემნახველი, მარჩენალი, სიმდიდრე, შეძლება. „ნამოგექცა, ოჯახო, დედაბოძი, დაგიმინდათ, თოფო და ხმალო, თქვენი ფანდი ვაჟკაცი“ (ილია).

„დ ე დ ა ბ ო ძ ი ი ს ბოძია, რომელზედაც დამყარებულია სახურავი სახლისა. გადატანით, ხატოვნად, ოჯახში დედაბოძად მამაკაცი ითვლებოდა (მასზეა დამყარებული მთელი ოჯახის კეთილდღეობაო.) ოჯახში უფროსი რომ მოკვდებოდა, იტყოდნენ — ოჯახს დ ე დ ა ბ ო ძ ი გამოეცალაო. „დედაბოძს“ შემდეგ მნიშვნელობა გაუფართოვდა“ (სახოკია, 1979, გვ. 150).

„გ უ თ ნ-ი დ ე დ ა ბ ო ძ-ი (ქართლ.) გუთნის ძირითადი ნაწილი, სახნისი, ღირღატი“ (ღლონტი, 1984, გვ. 203).

(4) **დედაბუდე „გადატ. წყარო, სათავე. ყოველგვარი უსიამოვნებისა და ურთიერთობისადმი მტრობის დედაბუდე საქუთრებისა და ლხინისადმი მისწრაფება-აო [ამბობნდა მაზდაჯი] (ივ. ჯავახ.)“** (ქეგლ, 1953, სვ. 1117).

(5) **დედაბურჯი „მთავარი ბურჯი. ქართველი ... უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს «დედაბურჯს» ეძა-ხის (ილია)“** (ქეგლ, 1953, სვ. 1117).

(6) **დედაკინაძ „გუთანში სწორი და გრძელი რეკინის ნაწილი, რომელზედაც მიმაგრებულია საკვეთი, სახ-ნისი, ფრთა და სხვ.“** (ლამბაშიძე, 1988, გვ. 182)

(7) **დედამინა „1. მზის სისტემის ცთომილი (პლანეტა), რომელზედაც განვითარებულია ორგანული სი-ცოცხლე და ჩვენ ვცხოვრობთ. შეიძნენ ცა და დედა-მინა, მოჰყვნებ თავ-თავის ქებასა (ხალხ.). უნინ გა-ლილეი კინაღამ ცეცხლში დაწვეს, — რადა სთქვი, მზე დგას, დედამინა ტრიალებს (ილია). || ფიგურ. დედამინას გული გადაუხსნა, შე ... ულეველი სიმ-დიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა (ილია). || მთელი ქვეყანა, მსოფლიო“** (ქეგლ, 1953, სვ. 1119).

აღსანიშნავია, რომ ქართულ დედამინა'ს მოეპოვება პა-რალელები ზოგიერთ ევროპულ ენაში (ინგლ. mother earth, გერმ. Mutter Erde და ა. შ.). თუმცა ეს დამთხვევა ბიბლიოდან იღებს სათავეს: „შიმველი გამოვედი დედის მუცლიდან და შიმველი დავბრუნდები იქ“ (იობი 1.21). ამასთან დაკავშირებით თ. გასტერი მიუთითებს, რომ „არავინ ბრუნდება დედის მუცელში. მაშასადამე, იქუნდა გავიგოთ დეიქტურად: მთქმე-ლი მიუთითებს მინაზე იმის მინიშნებით, რომ ის არის ყველა ადამიანის დედა“ (გასტერი, 1969, გვ. 786). მასთანვე უნდა იყოს დაკავშირებული დედაბუნება და მისთანა ცნებითი მეტაფორები (სხვათა შორის, აქაც დამთხვევაა ქართულსა და სხვა ენებს შორის (შდრ. ასევე რუსული Мать-сыра земля, რო-მელსაც სპეციალურ ლიტერატურაში ისტორიოსოფემის Родина-Мать ამოსავლად მიიჩნევენ (რიაბოვი, 2001, გვ. 101)); ბუ-

ნებრივია, რომ ზემომოყვანილი ფაქტების გაუთვალისწინებდად უფრო ძნელი უნდა იყოს ობიექტური დასკვნების გამოტანა, ვიდრე ეს ზოგიერთ ნაშრომში ხდება; მაგალითად: „ქალის როლის განსაკუთრებულობა ასახულია ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ქართულ ენაში [...] ღრმა აზრია ჩაქსოვილი ქართულ სიტყვაში „დედამინა“ — ღვთაების მნიშვნელობით (დღევანდელი მნიშვნელობის „დედამინა“ ძველ ქართულში აღინიშნებოდა სიტყვით „ქუეყანა“)“ (მაჩაბელი, 2002, გვ. 3). როგორც ჩანს, ქართულის სინამდვილეს ერთგვარ საფუძველს უქმნის ქრისტიანობამდელი მონაცემი: კავკასიელთა უძველესი მითოლოგიური სისტემისა და ქვესისტემების რეკონსტრუქციისას ქ. სიხარულიძე ყველაზე უფრო ხელჩასაჭიდად მიიჩნევს წარმოდგენებს ხთონური ღვთაებების შესახებ (რადგან ისინი გაცილებით უფრო მყარად შემორჩებიან ხალხის მეხსიერებას) და გვაძლევს ღვთაებათა შემდეგ შიდა იერარქიას: მინის ღვთაება (დედამინა) > ადგილის დედა > ფუძის ანგელოზი; ავტორი დაასკვნის: „ამ სტრუქტურის ელემენტთა საერთო ნიშნებია: ღვთაებრივი არსი, მდედრობა, ნაყოფიერების ფუნქცია და ადამიანის მფარველობა, მაგრამ ისინი განსხვავდებიან ძალმოსილებითა და მოქმედების მასშტაბებით. ამ სისტემაში მთავარი და წარმმართველია მინის ღვთაება“ (სიხარულიძე, 2002, გვ. 58). და მაინც, ზემოაღნიშნული ცნებითი მეტაფორა ჩვენი პლანეტის სახელწოდებად მხოლოდ ქართულში ფიქსირდება.

**(8) დედაქალაქი** „სახელმწიფოს მთავარი ქალაქი, ჩვეულებრივ, მთავრობისა და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ადგილსამყოფელი (სინონ. ძვ. სატახტო ქალაქი). საქართველოს დედაქალაქი თბილისია. — ქართველი ღვიძლ ენასაც «დედა ენას» ეძახის, უფროს ქალაქს «დედაქალაქს» (**ილია**). მცხეთა ... ძველ დროში დედაქალაქი იყო საქართველოსი (**ი. გოგება**).“ (ქეგლ, 1953, სვ. 1120).

ჯერ კიდევ ძველ ქართულში ამ სიტყვას დერივატებიც ჰქონდა: **დედაქალაქელი**, „რომელთა შინა პატრიარქისა ბელდასხმულ იყვნენ მიტროპოლიტი, გინა თუ **დედაქალაქელთა** მიერ ქმნილი ეპისკოპოსნი“, „ხოლო თუ მიერ კერძო ამათსა არარას ბელ-ყოფად ქმნად თვინიერ ეპისკოპოსისა

**დედაქალაქელისა**; **დედაქალაქობაშ** „რაოდენი ქალაქნი წიგნთა მიერ სამეუფოსა სახელითა დედაქალაქობისაძთა პატივ-იცნეს“ (სარჯველაძე, 1995, გვ. 75).

აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი იმ ფაქტსაც, რომ ეს და სხვა ცნებითი მეტაფორები გენდერული მეტაფორებია და არა სქესობრივი. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს: თავის დროზე ერთმა ცნობილმა ქართველმა ქუთაისი ირონიულად საქართველოს „მამაქალაქად“ მოიხსენია; ცხადია, რომ ამით მან დაანგრია ქართულისათვის არსებითი პრინციპი **დედა-მსაზღვრელიანი** ცნებითი მეტაფორების წარმოებისა. ნიშანდობლივია, რომ, რაც ხდება ერთ, რომელიმე ენასა და კულტურაში არ არის სავალდებულოდ მოსალოდნებლი სხვაში; შევადაროთ, მაგალითად, რუსულის ვითარება: „ინტერესს იწვევს აგრეთვე სქესის კატეგორიასა და მეტაფორული მნიშვნელობის მქონე, გენდერულად განპირობებული ლექსიკური ერთეულების „კონკურენციის“ კანონზომიერებათა დადგენა (ზდრ., Одесса-мама, Ростов-папа, მაგრამ Киеv-матъ городов russких)“ (კირილინა, 2002, გვ. 23). სხვადასხვა ენასა და კულტურას შორის ამ მხრივ არსებული განსხვავებები, მათ შორის, პოლარულიც უფრო თვალსაჩინო გახდება ქვემოთ განხილული მასალის საფუძველზე.

(9) **დედაციხე „მთავარი ციხე“** (აბულაძე, 1973, გვ. 139).

(10) **დედაძარღვი „წიგნ. გადატ. არსებითი მხარე, საფუძველი, ძირითადი, მთავარი (აზრი). ჩვენი სურვილია..., რომ მარტო დედაძარღვს მეთოდისას მივაგნოთ (ილია)**“ (ქეგლ, 1953, სვ. 1121).

საილუსტრაციო მასალა, რა თქმა უნდა, კიდევ მოიპოვება და სათანადო დასკვნებსაც მხოლოდ ყველა მათგანის ანალიზის შემდეგ გამოვიტანთ, ოღონდ ამჯერად საგანგებოდ უნდა ვიმსჯელოთ კიდევ ერთი ამგვარი ცნებითი მეტაფორის შესახებ: ეს არის **დედაენა**.

აქ **დედა** კვლავაც მსაზღვრელად გამოიყენება და რო-  
მელსაც გარკვეული სახით ერთგვარი „პარალელებიც“ კი  
მოეპოვება ევროპულ ენებში:

(11) **დედანა** „1. ენა, რომელსაც ბავშვობიდანვე ით-  
ვისებს ადამიანი მშობელთაგან და მახლობელთაგან  
და ყველაზე უფრო ბუნებრივია მისთვის ლაპარაკსა  
და აზროვნებაში; ენა, რომელზედაც პირველად  
ამეტყველდება ბავშვი და რომელიც ურთიერთობის  
საშუალებაა იმ საზოგადოებისა, რომლის წევრიც  
თვითონ არის, — მშობლიური ენა, ღვიძლი ენა. ქარ-  
თველი ღვიძლ ენასაც «დედა ენას» ეძახის (**ილია**).  
კრულია მისი სახელი, ვინც დაგმობს დედა ენასა  
(აკაკი)“ (ქეგლ, 1953, ს. 1114).

როგორც ცნობილია, სხვა ენებშიც მოიპოვება მსგავსი  
ფორმულა მშობლიური ენის აღსანიშნავად (მაგ.: ინგლ.  
mother tongue, გერმ. Muttersprache, ფრ. langue maternelle, ესპ.  
lengua materna, სკანდ. modersmål, ჰოლ. moedertaal, რუმ. limba  
materna და ა.შ.). თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ევროპულ ენებ-  
ში ამ სიტყვათშეხამებას ჩვენგან განსხვავებული სოციო-  
კულტურული მოტივაცია ჰქონია. სხვათა შორის, ციცერონი  
ლათინურს „მამათა ენას“ (sermo patria) უწოდებდა. ამასთან  
დაკავშირებით, ე. ჰაუგენი იხსენებს იმ ფაქტს, რომ შუა საუ-  
კუნეების ევროპაში მხოლოდ მამაკაცები იღებდნენ განათ-  
ლებას (ეს კი ლათინურ ენაზე ხდებოდა), ხოლო ქალები მო-  
ნიდებული იყვნენ მხოლოდ საოჯახო საქმეების საკეთებ-  
ლად, მათ შორის ბავშვების აღსაზრდელად; დედები კი თავი-  
ანთ შვილებს არა მკვდარ ლათინურზე (რომელიც მათ არ  
ჰქონდათ ნასწავლი), არამედ თავიანთ მშობლიურ ენაზე ესა-  
უბრებოდნენ. შესაბამისად, ლათინური ითვლებოდა „მამის  
ენად“, რადგან იგი იყო სამნიგნობრო ენა, დასავლეთ ევრო-  
პის ერთა ენები კი „დედის ენად“, რადგანაც „ადრეულ შუა-  
საუკუნეებში იგი ძირითადად წარმოადგენდა **კნინბით** (ხა-  
ზი ჩვენია — ზ. კ.) ტერმინს ქალებისა და ბავშვების, ე. ი. წე-  
რა-კითხვის უცოდინარი ხალხის, ენის აღსანიშნავად... იგი  
გაჩნდა იმისათვის, რომ აესახა ახლებური დაპირისპირება  
მამაკაცებისა და ქალების ენას შორის“ (ჰაუგენი, 1991, გვ.

82). როგორც ვხედავთ, ამ ტერმინის წარმოშობას სპეციფიკური სოციალური პირობები ედო საფუძვლად დასავლეთ ევროპაში. აღსანიშნავია, რომ დღესაც მისი გაგება ქართული მსოფლებელისაგან პრინციპულად განსხვავდება; მას შენარჩუნებული აქვს სოციალური ცნების ელევრი, და მას მრავალი ავტორი იყენებს დასავლეთ ევროპაში განვითარებადი ქვეყნებიდან მიგრირებული ან ადგილობრივი, ძირძველი ეროვნული უმცირესობების ენათა აღსანიშნავად. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ქართული და ევროპული ენების „მასალობრივი“ დამთხვევა ამ შემთხვევაში არ ნიშნავს მსოფლებელის იგივეობას (ამ მხრივ არსებულ პოლარულ განსხვავებას ასევე ამაგრებს პრინციპულად სხვაგვარი სოციო-ლინგვისტური სიტუაცია, რომელიც უძველესი დროიდანვე დასტურდება საქართველოში. ვგულისხმობთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში ქალები არ ყოფილან გარიყული მწიგნობრობისაგან: „არსებული წერილობითი წყაროებისა და ისტორიოგრაფიის საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ქალი საქართველოში ქართული დამწერლობის შემოღებისთანავე დაეუფლა წერა-კითხვას, მწიგნობრობას, საეკლესიო და საერო ლიტერატურას, პოეზიას, თარგმნის ხელოვნებას. ... ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია, ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ქალის წიგნიერების შესახებ ყველაზე ადრეულ მოწმობას უკვე ჩვენამდე მოღწეულ პირველსავე ჰაგიოგრაფიულ თხზულება „შუშანიკის წამებაში“ ვხვდებით“ (ხაზარაძე, 2002, გვ. 9-10)); ევროპული ენები-სა და კულტურებისაგან განსხვავებით, პირიქით, ქართულში მსაზღვრელი დედა მთავარისა და ძირითადის აღმნიშვნელია (შდრ.: „დედაენა მთავარ ენას ნიშნავს და არა ვისიმე დედის ენას (სოციოლოგიის ობიექტია და არა ინდივიდუალური ფსიქოლოგიისა), ისევე, როგორც დედაბოძი, დედაქალაქი... დედაქალაქი ხმ არ არის ვისიმე ქალაქი, არამედ ქვეყნის მთავარი ქალაქია!“ (რამიშვილი, 2000, გვ. 9)), ევროპულ ენებში კი მეორეხარისხოვანისა, როგორც ეს ზემომოყვანილი მაგალითის შუქზე გამოჩნდა. აქედან გამომდინარე, ჩვენ საქმე ამ შემთხვევაში გვაქვს ცნებით ანტონიმებთან. ამ მხრივ, საინტერესოა 1985 წლის ოქტომბერში ავსტრიის ქალაქ გრაცში ჩატარებული მეორე სოციოლინგვისტური სიმპოზიუმის პრეამბულა. აღსანიშნავია, რომ სიმპოზიუმი სწო-

რედ დედაენის პრობლემატიკას ეხებოდა. პრობლემის სირთულიდან გამომდინარე, პრეამბულაში დასმულია შემდეგი შეკითხვა: „იქნებ, საერთოდ არ არსებობს ის, რასაც „დედაენას“ [mother-tongue] ვუწოდებთ?“ (დენისონი, 1986, გვ. 6). ამ შეკითხვის ქართული თარგმანი, ცხადია, ძალზე უცნაურად ულერს; მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ სიტყვათა ახალი მნიშვნელობების წარმოქმნა მოტივირებულია ენაში მანამდე არსებული, რელევანტური მნიშვნელობებით; მაშასადამე, ამ შემთხვევაში ქართულში პოვნიერი მოდელების სისტემა არ არის თავსებადი მასთან, ერთი შეხედვით, პარალელურ ევროპულ ლინგვისტურ და კოგნიტიურ რეალიებთან. დაბოლოს, თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ზემოგანხილულ იდეალიზებულ კოგნიტიურ მოდელსა და მისგან გამომდინარე პროტოტიპულ ეფექტებს, მაშინ განსხვავებები უფრო თვალსაჩინო გახდება ისეთი მაგალითის შემხედვარე, როგორიცაა step-tongue (გუპტა, 1994); როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინგლისურში გვაქვს mother tongue ‘დედაენა’, რომელიც უფრო ‘დედის ენა’-ს ნიშნავს, ვიდრე ‘დედაენა’: აქედან გამომდინარე, მივიღეთ ინგლისურისათვის სავსებით ბუნებრივი სიტყვანარმოებითი ნეოლოგიზმი (და, შესაბამისად, ცნებითი მეტაფორა, როგორც იდეალიზებული კოგნიტიური მოდელის პროტოტიპული ეფექტი) step-tongue ზედმინ. \*‘დედინაცვალი ენა’.

წარმოდგენილი მსჯელობა ააშკარავებს იმას, რომ არსებობს ისეთი ენობრივად სპეციფიკური მოდელები (ამ შემთხვევაში ცნებითი მეტაფორები), რომლებიც კოგნიტიურ და, აქედან გამომდინარე, არა მარტო კულტურული, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფასეულობების სისტემებსაც კი ქმნიან. ამ დებულების მართებულობას ადასტურებს ჩვენი შემდგომი მასალა, რომელიც კვლავაც სიტყვა დედას კოგნიტიურ დიაპაზონს წარმოგვიჩენს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ პრინციპს, რომ მსაზღვრელი დედა სისტემებრ ანიჭებს „მთავარის, ძირითადის, არსებითის, საფუძველთდამდების“ მნიშვნელობას სხვადასხვა ცნებას, კვლავაც პროდუქტიული ხასიათი აქვს. ამის გამოვლინებაა თანამედროვე ზეპირ თუ წერით მეტყველებაში ხმარებული (თუმცა ლექსიკოგრაფიულად აქამდე დაუფიქ-სირებელი) დედაეკლესია, დედატაძარი, დედაუნივერსი-

**ტეტი, დედამდინარე** (შდრ. გერმ. Vater Rhein ‘მამა რაინი’), **დედაქუჩა, დედახე** (ცენტრალური, საყრდენი მორი ტივის კონსტრუქციაში) და მსგავსი მაგალითები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სემანტიკური კომპონენტი „საწყისი, სათავე“ კვლავაც ცოცხალია ამ სიტყვის მნიშვნელობაში; იგი კვლავაც კოგნიტოაქტიური ელემენტია ცნებითი ძეტაფორიზაციის თვალსაზრისით. ის ფაქტი, რომ იგი **დედა**’ს თავდაპირველ მნიშვნელობაში აღდგება, საცნაური ხდება შემდეგის საფუძველზე:

